www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 17 სექტემბერი, 2012 წელი. | №3113 (206) | ფასი 50 თეთრი

ერთიანი საქართველოს სიმბოლოს კურთხევა

"ISAF-ის მისიაში მონაწილეობა აძლიერებს ჩვენს ჯარს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვას და უსაფრთხოებას"

2012 წლის შემოდგომაზე ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს შეიარაღებული ძალების 32-ე და 12-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონები გაემგზავრებიან. ჰელმანდის პროვინციაში ქართველი სამშვიდობოები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში ISAF-ის (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები) ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ამერიკის საელჩოების უსაფრთხოება ცვალებად ახლო აღმოსავლეთში

ანტიდასავლური პროტესტი ისლამურ ქვეყნებში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. სუდანში გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებზე თავდასხმისა და დაწვის შემდეგ დღის წესრიგში ელჩების სამშობლოში გაწვევის საკითხი დადგა. თუმცა პირველი, ვინც თავისი დიპლომატიური კორპუსისა და მათ ოჯახების უკან დაბრუნება დაიწყო, ამერიკის შეერთებული შტატებია. ოფიციალურმა ვაშინგტონმა თავისი დიპკორპუსის ევაკუაცია სუდანიდან და ტუნისიდან უკვე დაიწყო.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

სატელევიზიო კარის თამაში

"ემის" გამარჯვებულებს ერთ კვირაში დაასახელებენ

ია ვეკუა

გუშინ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და პოპულარული ტელეპროექტის, "მიწისქვეშა იმპერიის" მესამე სეზონის პირველი სერიის ჩვენება შედგა. "იმპერიის" ახალი სერიები ჩვენს ინტერნეტსივრცეში რამდენიმე დღეში გამოჩნდება და სწორედ მაშინ გავიგებთ, როგორ გაგრძელდა ნაკი ტომპსონის განგსტერული ცხოვრება, ზუსტად ერთ კვირაში კი გვეცოდინება, შეძლებს თუ არა ეს ტელეპროდუქტი "ემის" ნომინაციაში გამარჯვებას და საკმაოდ წონიანი მოწინააღმდეგეების უკან ჩამოტოვებას.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6472₾		
1 ევრო	2.1563₾		
1 ინგლისური გირვანქა	2.6742₾		
1 თურქული ლირა	0.9183₾		
100 რუსული რუბლი	5.3449₾		
თბილისი	28°C - 18°C		
ქუთაისი	34°C - 18°C		
თელავი	29°C - 14°C		
ზუგდიდი	32°C - 14°C		
ბათუმი	29°C - 18°C		
ნავთობი	3.25	+0.03	+1.04%
გაზი	2.94	-0.09	-3.16%
ოქრო	1,773.30	+1.20	+0.07%
ხორბალი	924.25	+22.25	+2.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ჩემპიონთა "ლიგამუსი"

ალექსანდრე ასათიანი

"ლიგამუსი" ჩემპიონთა ლიგის ძირითად ამბებში ჩაჯდა. საინტერესო გუნდი საინტერესო ტურნირში ათ თამაშში გაიტესტება. საქართველო ჩემპიონთა ლიგის ფორმატში ნორმალური გუნდით შევიდა და იდეაში, რაღაც დონემდე უნდა გაქაჩოს. "ლიგამუსი" თბილისში ფავორიტი არ იყო და ფავორიტივით გაისეირნა. ესპანეთიდან ლენ ტროფის ფინალისტი, "საბადელი" ჩამოვიდა. ლიდერების გარეშე, ცოტა სხვა ხალხით ჩამოვიდა და "ლიგამუსმა" ესპანური პრობლემა მოაგვარა. საქართველოს საუკეთესო გუნდი ევროპის საუკეთესო ტურნირში აზრზე უნდა მოვიდეს. თბილისში, ბოლო ორ გასაუბრებაში, რეზო ჩომახიძემ ორი ბონუსი დასვა.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

"ლიგამუსის" ლიდერი გალაქტიონ ლაითაძე

საჯარო სკოლებში სწავლა იწყება

საქართველოს საჯარო სკოლებსა და ძირითად უმაღლეს სასწავლებლებში დღეიდან ახალი სასწავლო წელი იწყება. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2012-2013 წლის სასწავლო სეზონი 2082 საჯარო სკოლაში დაიწყება.

დღესვე მინისტრი ხატია დეკანოიძე სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ერისიმედისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის ახლად გახსნილ სკოლებს ესტუმრება.

წლევანდელი სასწავლო წელი ორსემესტრიანია. მოსწავლეები იანვარსა და აღდგომის დღეებში დაისვენებენ. I და XII კლასელები სწავლას - მაისში, ხოლო დანარჩენი კლასების მოსწავლეები ივნისის შუა რიცხვებში დაასრულებენ. ამასთან, განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლისთვის სარეაბილიტაციო სამუშაო წელს 527 საჯარო სკოლაში განხორციელდა. გაიხსნება ახალი სკოლები კახეთში, სამეგრელოსა და გურიაში.

დღესვე 140 ათასი მოსწავლე, პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით, სახელმწიფოსაგან საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებს. სახელმძღვანელოები გადაეცემათ სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებს; იმ ოჯახების მოსწავლეებს, რომლებშიც ერთდროულად სამი ან მეტი და-ძმა სწავლობს სკოლაში; 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების. ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელს სკოლაში ნეთბუქი დახვდება.

წელს პირველად, სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს მასშტაბით 400 სკოლაში გაიყიდება. სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას მომიჯნავე სკოლების მოსწავლეებიც შეძლებენ. ამ ობიექტებზე სახელმძღვანელოს მაქსიმალური ფასი 10 ლარი იქნება.

ივანიშვილი: "ძალიან დიდი ალბათობით, ქუჩაში გამოსვლა არ დაგვჭირდება"

"ვფიქრობ, რომ ქუჩა არ დაგვჭირდება," - ამის შესახებ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა გუშინ განაცხადა.

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, არჩევნებზე უპრეცედენტო რაოდენობის დამკვირვებლები ჩამოდიან, რაც იმას ნიშნავს, რომ "ვერავინ ვერაფერს მოახერხებს."

"არავითარი გაყალბება არ მოხდება და ძალიან დიდი ალბათობით, არც ქუჩაში გამოსვლა დაგვჭირდება. საერთაშორისო დამკვირვებლები უხეშ დარღვევებზე თვალს არ დახუჭავენ და არ მოხდება უხეში დარღვევების გაფორმება. შესაბამისად, ყველაფერი კარგად არის. სააკაშვილს არავინ აპატიებს იმ უხეშ დარღვევებს, რასაც აპირებს. საერთაშორისო დამკვირვებლები და საერთაშორისო საზოგადოება ამაზე ხელს არ მოუწერს," - განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება ქუჩას, "ქართული ოცნების" ლიდერის განმარტებით, ეს შეიძლება იყოს "ერთსაათიანი გამოსვლა." "არც ერთ შემთხვევაში, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, დაპირისპირება არ იქნება. არც ერთი მოქალაქე ჩვენი მხრიდან არ დაზარალდება," - აღნიშნა ივანიშვილმა.

კოალიციის ლიდერმა ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მის გუნდსა და ხელისუფლებას შორის პარლამენტში ადგილების გადანაწილებასთან დაკავშირებით რაიმე შეთანხმება არსებობს.

"ინფორმაცია, რომ ჩვენ პარლამენტში ადგილებზე შეთანხმებულები ვართ, სიცრუეა, რადგან ხალხს არ ვუღალატებ არასდროს. ამ ინფორმაციას ავრცელებენ მათი სიცრუის მანქანები, რათა ხალხი არჩევნებზე არ მივიდეს, რადგან ყველაფერი მაინც შეთანხმებულიაო. როგორ შეიძლება, საკაშვილს კაცი მოელაპარაკოს და მას დაუჯეროს და ენდოს ხალხის ხმების და ნების საფასურად?! არავითარი 60/40-ზე და არავითარი შეთანხმება არ ყოფილა," - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

გიგი უგულავა: "მთავარია, წინსვლა და განვითარება არ გავაჩეროთ"

"არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ გვირჩევს ხალხი, ვემსახურებით მხოლოდ ხალხს და სხვა არაფერს," - ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე გიგი უგულავამ გუშინ სანზონაში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

შეხვედრაზე თბილისის მერმა ყურადღება მმართველი გუნდის მიერ დაგეგმილ პროექტებსა და იმ კალენდარზე გაამახვილა, რომელიც მმართველი გუნდის მიერ განსახორციელებელი პროექტების კონკრეტულ ვადებს მოიცავს.

"ჩვენ, "ნაციონალურმა მოძრაობამ" მთელი საქართველოს მასშტაბით 4-წლიანი კალენდრის დარიგება დავიწყეთ. მასში განსაზღვრულია, ამ ოთხი წლის განმავლობაში რომელი დაპირება როდის, რომელ წელს, რომელ კვარტალში შესრულდება. ეს იმისთვის, რომ ჩვენს თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა, არა მხოლოდ მხარი დაუჭიროს ჩვენს პარტიას, არამედ აკონტროლოს და იცოდეს, რა სიახლეა ჩვენს ქვეყანაში. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თითოეულ მერს, მაჟორიტარს, დეპუტატს, არასდროს დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ხალხი გვირჩევს და ვემსახურებით ხალხს, მხოლოდ ხალხს, და სხვა არაფერს. სამშობლოს სამსახური სწორედ ხალხის სამსახურია," - მიმართა შეკრებილ მოსახლეობას უგულავამ.

მისივე თქმით, თბილისი დღეს უკეთესი ქალაქია, ვიდრე რვა წლის წინ იყო, თუმცა ეს ხელისუფლებას მოდუნების უფლებას არ აძლევს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია, ვისაც დახმარება სჭირდება.

"ISAF-ის მისიაში მონაწილეობა აძლიერებს ჩვენს ჯარს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვას და უსაფრთხოებას"

პირველი გვერდიდან

ქართული სამხედრო კონტინგენტი, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს 2010 წლიდან ახორციელებს.

ქართველი სამხედრეობის ამოცანას ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა წარმოადგენს. ქართული ბატალიონები მისიისთვის სპეციალურ მომზადებას გადიან. ექვსი თვის განმავლობაში ისინი ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადის ხელმძღვანელობით ინტენსიურ მომზადებას კრწანისის სასწავლო ცენტრში გადიოდნენ. საქართველოს შემდეგ კი ქართველი სამხედროები მისიის მაღალ დონეზე შესასრულებლად გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსში, აშშ-ს გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის ცენტრში (JMRC) ემზადებიან.

ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი თანამედროვე და დასავლური ორიენტაციის შეიარაღებული ძალების მშენებლობაა. შეიარაღებული ძალების განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის კი საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ქართველ სამხედროებს საშუალებას აძლევს, უნიკალური საბრძოლო გამოცდილება მიიღონ.

ISAF-ის მისიაში ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს. აშშ-ს შემდეგ დიდი ბრიტანეთი და ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნები მოდიან. მთლიანობაში, ავღანეთის ოპერაციაში 50 ქვეყანაა წარმოდგენილი. ISAF-ის მისიაში საქართველო ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით უმსხვილესი კონტრიბუტორია.

"საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები" (ISAF), რომელსაც ხშირად კოალიციურ ძალებს უწოდებენ, არის ნატო-ს უსაფრთხოების მისია ავღანეთში. ISAF-ის მისია ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა 2001 წელს, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციით დაიწყო. მისიის მთავარი მიზანი ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების მომზადება, სამთავრობო ინსტიტუტების მშენებლობა და ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლაა.

საწყის ეტაპზე ISAF-ის მთავარი დანიშნულება თალიბანისგან და ალ ქაიდასგან დედაქალაქ ქაბულისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაცვა იყო, რათა ხელი არ შეშლოდა ავღანეთის გარდამავალი სამთავრობო ადმინისტრაციის განვითარებას. 2003 წლის ოქტომბერში გაეროს უშიშროების საბჭომ ISAF-ის მისიის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო. 2006 წლის შემდეგ კოალიციური ძალები აქტიურად ჩაერთვნენ საბრძოლო ოპერაციებში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში და ეს ტენდენცია 2011 წლამდე გრძელდებოდა.

პირველად ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად გაძლიერებული ქვეითთა ოცეული (50 სამხედრო მოსამსახურე) 2004 წელს გაიგზავნა. ოცეული მისიას გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში ასრულებდა. მათი ამოცანა ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. 2007 წლის ნოემბრიდან, გჰორის პროვინციის ქ. ჩაგჩარანში, ქართველი ექიმები ლიტვის რესპუბლიკის პროვინციული რეკონსტრუქციის ჯგუფის შემადგენლობაში ასრულებდნენ სამშვიდობო მისიას 6-თვიანი როტაციით. 2009 წლის ნოემბრიდან 2012 წლის იანვრამდე, ქართულმა სამშვიდობო ასეულმა დაიწყო მისიის შესრულება ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქ. ქაბულში, რეგიონული სარდლობის შტაბ-ბინაში მდებარე "ვორჰაუზ"-ის ბაზაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. 2010 წლიდან კი ქართული ბატალიონები ერთ-ერთ ყველაზე რთულ, ავღანეთის სამხრეთით მდებარე ჰელმანდის პროვინციაში ასრულებენ მისიას.

ISAF-ის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის და მისი მნიშვნელობის შესახებ **საქართველოს თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი გვესაუბრება.**

- ბატონო დიმიტრი, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისათვის ISAF- ის საერთაშორისო მისიაში მონაწილეობა?

- ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ კოალიციურ ჯარებთან ერთად, მისიაში მონაწილეობა აძლიერებს ჩვენს ჯარს, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვას და უსაფრთხოებას.

ეროვნული-სამხედრო პერსპექტივიდან გამომდინარე, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობას პრაქტიკული სარგებელი აქვს. ჩვენი სამხედროები რთულ გარემოში სამხედრო ოპერაციების წარმოების უნარ-ჩვევებს სწავლობენ, რაც მათ პროფესიონალიზმს სრულყოფს. ეს გარემოება ხელს უწყობს საბრძოლო გამოცდილების შეძენასა და საბრძოლო შესაძლებლობების გაძლიერებას.

ავღანეთში ჩვენი ბატალიონები ისეთ უნიკალურ გამოცდილებას იღებენ, რომელსაც ვერასოდეს ვერ მიიღებდნენ წვრთნის დროსაც. ჩვენს ბატალიონებს აქვთ შეხება ყველაზე თანამედროვე იარაღთან. მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე იარაღი ავღანეთშია კონცენტრირებული და ქართველი სამხედროები უნიკალურ გამოცდილებას იღებენ. ჩვენი მეთაურები ბატალიონების მართვის უნიკალურ გამოცდილებას უშუალოდ საომარ მდგომარეობაში იღებენ. მოწინააღმდეგე არის ძალიან ძლიერი და მათ მიერ შემოთავაზებული ბრძოლის ტაქტიკა ჩვენს ოფიცრებს საკმაოდ დიდ პრაქტიკულ ცოდნას აძლევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატალიონის მეთაურები სწავლობენ, თუ როგორ შეინარჩუნონ პირადი შემადგენლობა და როგორ შეასრულონ მისია ისე, რომ მსხვერპლი მინიმუმამდე დაიყვანონ.

როცა ეს ბატალიონები უკან ბრუნდებიან, ისინი თავიანთ გამოცდილებას ახალ ბატალიონებს უზიარებენ. ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს.

- ვისაუბრეთ, თუ რა სახის გამოცდილებას იღებენ ჩვენი სამხედროები ავღანეთში. რას გვეტყოდით მათი მომზადების შესახებ? რამდენად არიან ჩვენი სამხედროები მზად მისიის შესასრულებლად და რა სახის წვრთნებს გადიან ავღანეთში გამგზავრებამდე?

- ქართველი სამხედროების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს საერთაშორისო ძალების წარმომადგენლებისგან. ერთი კვირის წინ ჰელმანდის პროვინციაში ბაზა "შუკვანზე" ქართველი სამხედრო მოსამსახურეები მოვინახულეთ. ამჟამად მისიას ვიცე-პოლკოვნიკ რომან ჯანჯულიას მეთაურობით II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი ასრულებს. ISAF-ის სამხრეთ-დასავლეთის რეგიონალური სარდლობის მეთაურებთან შეხვედრისას ამერიკელმა გენერლებმა აღნიშნეს, რომ ყოველი ახალი ბატალიონი უფრო გაძლიერებული ჩამოდის.

გარდა ამისა, როცა ავღანეთზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ არც ერთი ბატალიონი არ მიემგზავრება სერიოზული მომზადების გარეშე. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადის ხელმძღვანელობით სამშვიდობო მისიისთვის ექვსთვიანი ინტენსიური მომზადებას ქართული ბატალიონები კრწანისის სასწავლო ცენტრში გადიან. ამის შემდეგ კი სამხედროები გერმანიის ყველაზე დიდ სამხედრო ბაზაზე, ქალაქ ჰოჰენფელსში, აშშ-ს გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის ცენტრში (JMRC) გადიან სამხედრო წვრთნებს.

ქართველი სამხედროები ავღანეთში ამერიკელი საზღვაო ქვეითების მსგავსად ოპერირებენ. ყველა ქართულ ბატალიონს მიმაგრებული ჰყავს საზღვაო ქვეითებისგან შემდგარი მეკავშირეთა ჯგუფი. ისინი ერთად, წყვილში მუშაობენ. ჩვენი სამხედროების მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, საზღვაო ქვეითებს შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდამჭერი ცეცხლი არტილერიის, ავიაციისა და სხვა საშუალებების დახმარებით. ამერიკელებთან ერთად, წყვილში მუშაობა ქართველებისთვის უნიკალური გამოცდილებაა. ქართულ ჯარს საშუალება აქვს, პრაქტიკაში აითვისოს ამერიკელი საზღვაო ქვეითების მუშაობის სტილი.

ექსტრადირებული ქართველის სასამართლო ჰოლანდიაში

ჰოლანდიაში 19 წლის ქართველის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. შეიარაღებული თავდასხმა და მკვლელობა - ასეთია სანდრო გრიგოლიასთვის წარდგენილი ბრალდებები. თავის დროზე, ჰააგელ სამართალდამცველებს, სანდრო გრიგოლიას ადგილსამყოფელისა და მასთან დაკავშირებული რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო იფორმაციის მიწოდებისთვის ჯილდოდ 15 ათასი ევრო ჰქონდათ დაწესებული.

რამდენიმე თვის წინ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი სანდრო გრიგოლიას ფოტოები ჰოლანდიური ტელეკომპანიების ყველა საინფორმაციო გამოშვებაში აჩვენეს, მისი ფოტოები დაიბეჭდა გაზეთებშიც. უცხოური პრესის მიერ მაშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სანდრო გრიგოლია, თანამზრახველ ზია ბორუკჩუსთან ერთად, ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიას დაესხა თავს. თავდასხმა საიუველირო მაღაზიაში დამონტაჟებულმა ვიდეოსათვალთვალო კამერებმა გადაიღეს. ვიდეოფირზე, რომელიც სამართალდამცველებმა გაშიფრეს, კარგად ჩანდა, როგორ შევიდა ორი ადამიანი ერთად მაღაზიაში, როგორ ემუქრებოდნენ ისინი ცეცხლსასროლი იარაღით იუველირს. კადრებში აღბეჭდილი იყო მუქარის შემდეგ გასროლაც, რის შედეგადაც, მაღაზიის მეპატრონე ადგილზე გარდაიცვალა. თავდასხმიდან რამდენიმე დღეში, ცნობილი გახდა, რომ მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი ქართველ სამართალდამცველებს ჰყავდათ. რა გზებით შემოვიდა სანდრო გრიგოლია საქართველოში, უცნობია. ის ქართველ სამართალდამცველებს საკუთარი სურვილით ჩაბარდა და როგორც ჩვენებაში მიუთითა, პოლიციისთვის ჩაბარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ტელევიზიით შეიტყო, რომ მაღაზიის მფლობელი გარდაიცვალა.

ინციდენტიდან რამდენიმე დღეში ჰააგის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში დააკავეს მეორე თავდამსხმელი ზია ბორუკჩუიც.

სანდრო გრიგოლიას საქართველოდან ჰოლანდიაში ექსტრადირება ჰოლანდიის პოლიციამ მოითხოვა. ექსტრადირებას ითხოვდა თავად ეჭვმიტანილიც.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ერთიანი საქართველოს სიმბოლოს კურთხევა

დათო გამისონია

საერთაშორისო დელეგაციები, რომლებიც ბოლო დროს საქართველოს სტუმრობენ, საარჩევნო გარემოს უკიდურესად პოლარიზებულად ახასიათებენ. ეკლესია ერთადერთი ადგილია, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ლიდერები ერთმანეთთან შეხვედრისას თავშეკავებულად იქცევიან. მიმდინარე საარჩევნო მარათონში პირველი შემთხვევა აგვისტოს ბოლოს ცაგერში იყო, როცა ეკლესიაში შესულ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დახვდა. მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თუმცა მათი შეხვედრა მაინც შემთხვევითობას ჰგავდა.

ბაგრატის აღდგენილი ტაძრის კურთხევაზე კი ეკლესიამ ყველა პოლიტიკური ძალა მიიწვია. საქმე ის არის, რომ ბაგრატის ტაძრიდან გუშინ მიმდინარე სატელევიზიო ტრანსლაციაში, ტაძარში მყოფ პრეზიდენტს და მისი ოჯახს, ასევე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდათ და ახლო კადრით აჩვენებდნენ. შემდეგ კი თითოეულმა ლიდერმა გუშინდელი დღის მნიშვნელობა მედიასთან შეაფასა.

ტაძარში "ქართული ოცნების", "ნაციონალური მოძრაობის", "ქრისტიან-დემოკრატების", "ახალი მემარჯვენეების," "ლეიბორისტების," "ქართულის დასის", ედპ-ს და სხვა პარტიების წარმომადგენლები მრავლად იყვნენ. ბიძინა ივანიშვილს კი ბაგრატის ტაძარში არმისვლის მიზეზები ტელეკომპანია "მე-9 არხის" ეთერში ჰკითხეს. **"მე ამ ტაძრის აღდგენასა და, საერთოდ, ჩვენი ძეგლების აღდგენის პროცესის ფორმირებაში ძალიან დიდი წვლილი მიმიძღვის. უნდა ითქვას, რომ 500-ზე მეტი ტაძარი და ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი აღვადგინეთ, მაგრამ არც ერთი მათგანის გახსნაზე არ ვყოფილვარ. ყველანი მოგვანებით მოვინახულე და ეს ნორმალურია. ბაგრატის ტაძრის გახსნაზე ჩასვლა "მე-9 არხზე" დანიშნული ეთერის გამო ვერ მოვახერხე. მას რამდენიმე დღეში მოვინახულებ,"** - თქვა ივანიშვილმა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი პოლიტიკურ პარტიებს ტაძრის კურთხევის დასრულების შემდეგ მიმართა. **"მინდა ყველა პარტიის წარმომადგენელს, რომლებიც დღეს აქ არიან, ვუთხრა: ჩვენ შეიძლება განსხვავებული ხედვა გვქონდეს, მათ შორის, პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან მიმართებაში, მაგრამ იმედია, მთავარ რაღაცაში არ განვსხვავდებით - საქართველო არასდროს არ უნდა ჩავაბაროთ ჩვენს მტერს. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი პირადი ამბიციები, მას არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა. არ უნდა განვსხვავდებოდეთ იმაში, რომ არასდროს ჩვენს ქვეყანას არაფერზე გავცვლით, არასდროს ჩვენს პიროვნულს არ დავაყენებთ ხალხის საერთო ინტერესებზე მაღლა და ვიმოძრავებთ იმ გზით, რომელსაც საქართველოს გაძლიერება და გაერთიანება ჰქვია,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი აზრით, თუ პოლიტიკური ძალები ერთად იდგებიან, ისევე, როგორც ეს ბაგრატის ტაძრის კურთხევის დროს მოხდა, ძლიერი და ერთიანი საქართველოს აღადგენას შეძლებენ.

"იმ ეპოქაშიც, როცა ბაგრატის ტაძარი აიგო, საქართველოს გაერთიანება ყველა მიმართულებიდან დაიწყო. საქართველოს სულიერი აღორძინება დაიწყო მაშინაც, როცა ჯერ კიდევ 9 წლის წინათ სამეგრელოდან თბილისისკენ დიდი კოლონა წამოვიდა. საქართველოს აღორძინებაა ისიც, რომ ქუთაისში აშენდა პარლამენტი და აქ იქმნება ინსტიტუციურად პოლიტიკური ცენტრი. რა თქმა უნდა, თბილისის როლი ამით მხოლოდ ძლიერდება, მაგრამ ყველაფერი ეს არის მოძრაობა იმისკენ, რომ საქართველო ერთ ორგანიზმად ჩამოყალიბდეს. ეს ასევე სიმბოლოა იმისა, რომ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები შემოვიერთოთ, რადგან თუ რამე განასახიერებს აფხაზეთში ყოფნას, რა თქმა უნდა, ეს ტაძარია. ეს ტაძარი ამ იდეის გვირგვინია. თუ ყველანი ერთად დავდგებით, როგორც ამ ტაძარში ვდგავართ, როცა ერთმანეთის მხარდამხარ ლოცვას აღვავლენთ, ამ იდეას ხორცსც შევასხამთ. ზუსტად ასევე აღვადგენთ ერთიან, ძლიერ საქართველოს, თუ ერთად ვიდგებით. ძალა ერთობაშია!" - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის პათოსს ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც იზიარებდნენ. ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ ზუგდიდის მაჟორიტარმა კანდიდატმა "ქართული ოცნებიდან" ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ ბაგრატის ტაძარში გამართულ საღმრთო ლიტურგიაში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობა დიდი ადამიანური და სამოქალაქო სოლიდარობის გამოხატულებაა. **"ყველანი საქართველოს შვილები ვართ და პატრიარქის მოწოდებას ერისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის დიდი ადამიანური და სამოქალაქო სულიერების გამოხატულება - ერთად ჩვენ ვლოცულობთ,"** - ამბობს ირაკლი ალასანია.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი გიორგი თარგამაძე აღნიშნავს, რომ მისი პარტია ყოველთვის იქნება იქ, სადაც საქართველოს ერთიანობა და მთლიანობაა. **"ამ საქმის წინამძღოლი არის სწორედ მისი უწმინდესობა,"** - მიიჩნევს თარგამაძე.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ამბობს, რომ ედპ პატრიარქის კურთხევის შესრულებას ყოველთვის ცდილობს. მისი თქმით, ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ბაგრატის ტაძრის აღდგენა საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა. ქარდავამ დასძინა, რომ პოლიტიკოსებს შორის კონკურენცია უნდა იყოს და არა მტრობა. **"ყველა ერთად ვართ, ეს მისასალმებელია და დიდი საქმეა,"** - მიიჩნევს ბაჩუკი ქარდავა.

პატრიარქი ტაძარში მყოფ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს მიესალმა. მან ხელისუფლება და ოპოზიცია 23 სექტემბერს ფოთში, საკათედრო ტაძრის კურთხევაზე დაპატიჟა. მანამდე კი პატრიარქმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, პრეზიდენტის სახელით, საზეიმო ბანკეტზე მიიწვია.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ბანკეტს ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა არ დასწრებია.

ორი გამამართლებელი განაჩენი და ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელი

ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს.

სწორედ კანონის ამ მუხლზე დაყრდნობით, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ კ.ყ-ს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია - ასეთი იყო კ.ყ-სთვის წარდგენილი ბრალდება.

გამოძიების მასალების მიხედვით, ქარელის რაიონის სოფელ დვანში, კ.ყ-მ, ხელისა და ქვის დარტყმით, განზრახ დაზიანა გ. მ-ს "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსის წინა საქარე მინა, რამაც 160 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქმე ისაა, რომ სასამართლო პროცესზე, ზიანის ოდენობის შესახებ უტყუარი მტკიცებულება ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა **"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, წარმოშობილი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყდა და მართლმსაჯულებამ ბრალდებული გაამართლა,"** - განმარტავენ სასამართლოში.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ კი ქურდობაში ბრალდებული ნონა ჭოჭუა ცნო უდანაშაულოდ. მას ქურდობაში ედებოდა ბრალი. საქმის მასალების მიხედვით, ის ფარულად დაეუფლა სხვის კუთვნილ კომპიუტერს, რომლის ღირებულება 800 ლარს შეადგენდა.

როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო განხილვის დროს, ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. საქმე ისაა, რომ მოწმეების ჩვენებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალდებულის ჩვენება სრულად დადასტურდა. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა ბრალდებულის ჩვენებები მისი უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ აღმოჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წინააღმდეგ, ფიზიკური პირის გურამ ცაცხალიას სარჩელი, ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მხარეებს შორის დავის საგანს თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებისა და მერიის განკარგულების ბათილად ცნობა წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე დაჯარიმდა. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ ორგანოს მიღებული ჰქონდა დადგენილება უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე.

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელეს, როგორც დევნილს, სახელმწიფოსგან სიმბოლურ ფასად გადაეცა თბილისში ხიზანიშვილის N71-ში განთავსებული უძრავი ქონება. 2009 წელს მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მოსარჩელის უძრავი ქონება, რომელიც ე.წ. "ბარაკის" ტიპისაა, უნებართვოდ წარმოებულ მშენებლობად მიიჩნია და ფიზიკური პირი 15 ათასი ლარით დააჯარიმა, ხოლო, მოგვიანებით, მითითების შეუსრულებლობისთვის - 5 ათასი ლარით.

"სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, რადგან თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა არ გამოიკვლია საქმისათავის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ამასთან, მერიამ არ მისცა სათანადო შეფასება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს, როგორც დევნილს, სახელმწიფოსაგან სიმბოლურ ფასად 2009 წელს გადაეცა თბილისში ხიზანიშვილის N71-ში განთავსებული სადავო უძრავი ნივთი, რის გამოც, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა," - განმარტავენ სასამართლოში.

"ლეიბორისტებმა" გაზეთი გამოსცეს

"ლეიბორისტულმა პარტიამ" წინასაარჩევნოდ გაზეთი "სიმართლე" გამოსცა. გუშინდელ პრეზენტაციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ გაზეთის კონცეფციაზე ისაუბრა.

"ამ გაზეთში არის ყველა ის უბედურება, რაც საქართველოს უახლოეს ისტორიაში თავს დაატეხა ივანიშვილსაკაშვილის ხროვამ. ასევე, ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც ევროპის, აშშ-ს, გაეროს, ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოებში გაიგზავნა; ფრთიანი ფრაზები, რასაც ნათელაშვილი იყენებს ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსების მიმართ," - ამბობს კახა ძაგანია. მისი თქმით, გაზეთს აქტივისტები უფასოდ დაარიგებენ.

"ტირაჟი ასი ათასია, მაგრამ ერთი ამდენის დამატება მოგვიწევს, რადგან, პირდაპირ, ხელიდან გვტაცებენ ამ გაზეთს," - აცხადებს ძაგანია. გაზეთის რედაქტორი და სტატიების ავტორი შალვა ნათელაშვილია. 1 გაზეთის დაბეჭდვა "ლეიბორისტებს" 20 თეთრი დაუჯდათ.

საქართველოს ჩინეთის დელეგაცია ეწვია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაცია ვიზიტით საქართველოში იმყოფება. პარლამენტის პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, გუშინ ისინი სიღნაღში იმყოფებოდნენ, სადაც ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს. დღეიდან კი ოფიციალურ შეხვედრებს დაიწყებენ.

შეხვედრები დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან. 18 სექტემბერს სტუმრები უკვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას შეხვდებიან.

19 სექტემბერს დელეგაციის წევრები გორსა და მცხეთას ეწვევიან, სადაც ასევე ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ. იმავე დღეს ისინი საქართველოს დატოვებენ.

ინციდენტი ამომრჩევლებთან შეხვედრისას

პოლიტიკური ბლოკის "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მამუკა არეშიძის შეხვედრა გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების მოსახლეობასთან შეხლა-შემოხლით დასრულდა. "მედიანიუსის" ინფორმაციით, შეხვედრა 40 წუთის განმავლობაში მშვიდობიან ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა კანდიდატს რაღაც საგანი ესროლა.

კოალიციის ინფორმაციით, "ქართული ოცნების" ადგილობრივმა აქტივისტებმა ინციდენტში მონაწილე პირი მშვიდობიანად გაიყვანეს შეხვედრის ადგილიდან. კოალიციაში აცხადებენ, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა მას პროვოკაციის დაწყებისთვის 50 ლარი გადაუხადეს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაისურებში გამოწყობილმა ათამდე ახალგაზრდამ პროვოკაცია გაამწვავა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მოგვიანებით გაირკვა ისიც, რომ ესენი იყვნენ სოფელ გამარჯვების გამგეობის წევრები და მათი მხარდამჭერი, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდები, რომელთაც "ნაციონალების" ადგილობრივი კოორდინატორი ნიკო ჭანტურიძე ხელმძღვანელობდა. "ქართული ოცნების" კოორდინატორებმა, აქტივისტებმა მოსახლეობის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს პროვოკაციის მშვიდობიანად დასრულებისთვის," - იტყობინება კოალიცია "ქართული ოცნება."

მამუკა არეშიძე გარდაბნელებს დაჰპირდა, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, "ქართული ოცნება" გარდაბნის რაიონში მოაგვარებს წლების მანძილზე გადაუჭრელ სოციალურ და საყოფაცხოვრებო პრობლემებს, მოსახლეობას დაეხმარება კუთვნილი მიწის ნაკვეთების დაკანონებაში, ჩამოაყალიბებს მსხვილ მეურნეობებსა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დაასაქმებს.

ემიგრანტები დამატებითი საარჩევნო უბნის გახსნას ითხოვენ

არასამთავრობო კოალიციური ორგანიზაცია "ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის" მიუნხენში არსებულ საქართველოს საპატიო საკონსულოში დამატებითი საარჩევნო უბნის გახსნას ითხოვს. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა.

"ასობით ჩვენმა თანამემამულემ ხელი მოაწერა მიუნხენში საარჩევნო უბნის გახსნის პეტიციას და შეიტანა ბერლინში საქართველოს საელჩოში. ეს ციფრი არის სრულიად საკმარისი საარჩევნო უბნის გახსნისთვის. გაუგებარია, რატომ ქმნის ცესკო ხელოვნურ ბარიერს და არ ხსნის საარჩევნო უბანს მიუნხენში. 15 სექტემბერს ცესკოს მიერვე გამოქვეყნებული განცხადება ეწინააღმდეგება მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებას უბნის არგახსნის შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ მიუნხენში არსებულ საქართველოს საპატიო საკონსულოში დამატებითი საარჩევნო უბნის გახსნას! ჩვენს ამ მოთხოვნას ამყარებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლი, რომელიც კრძალავს ერთ საარჩევნო უბანზე 1500-ზე მეტ ამომრჩეველს. ბერლინში საქართველოს საკონსულოს მიერ გამოქვეყნებული სიების მიხედვით, გერმანიის ტერიტორიაზე საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა აღემატება 2500-ს; მათ შორის 1000-ზე მეტი რეგისტრირებულია სამხრეთ გერმანიის ტერიტორიაზე," - ნათქვამია განცხადებაში.

ცესკო
საარჩევნო
ადმინისტრაცია

ავსახავთ რეალობას

www.cesko.ge

ამერიკის საელჩოების უსაფრთხოება ცვალებად ახლო აღმოსავლეთში

პირველი გვერდიდან

საელჩოებში ის თანამშრომლები დარჩებიან, რომელთა დანიშნულების ადგილზე ყოფნა უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს. საპროტესტო ტალღამ ახალი ძალით იფეთქა იემენშიც. დემონსტრანტები კვლავ შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და სკანდალური ფილმის "მუსლიმთა უმანკოების" რეჟისორის სიკვდილით დასჯა მოითხოვეს.

ექსცესების გარეშე აქციას არც ევროპაში ჩაუვლია, სადაც მუსლიმურმა საზოგადოებამ თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა "იუთუბის" მეშვეობით გავრცელებული ფილმის ტრეილერისადმი. ერთი ავტორის გამოვლენის პარალელურად საერთაშორისო საზოგადოებას ასევე აინტერესებს მეორე რეჟისორის ვინაობაც. ეჭვი პორნოფილმების რეჟისორზე, ვინმე ალან რობერტსზე აქვთ. ამერიკული მედიის თანახმად, რამდენიმე თვის წინ სწორედ ალან რობერტსმა ჩაატარა კასტინგი მსახიობებისთვის. რაც შეეხება ფილმის თანაავტორ ეგვიპტელ კოპტს ნაკულა ბასლი ნაკულას, მისი თქმით, იგი მხოლოდ ტექნიკურ მენეჯერად მუშაობდა.

ახლო აღმოსავლეთში გასულ კვირას დაიწყო ანტიამერიკული დემონსტრაციები, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში ძალადობაში გადაიზარდა და რასაც ლიბიაში ამერიკის ელჩის კრისტოფერ სტივენსის სიცოცხლეც ემსხვერპლა.

რეგიონში საპროტესტო ტალღის გაძლიერების ფონზე ამერიკის თავდაცვის უწყება, სახელმწიფო დეპარტამენტი და თეთრი სახლი ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს მასშტაბით საელჩოების უსაფრთხოების კიდევ უფრო გაძლიერებაზე მუშაობს.

როგორც ცნობილია, ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ უცხო ქვეყნის საელჩოების უსაფრთხოებაზე ზრუნვას მასპინძელ ქვეყანას აკისრებს, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებს არსებულ საფრთხეებზე საპასუხოდ საკუთარი კომპლექსური უსაფრთხოების ბიუროკრატია ჰქონდა შექმნილი, მაგრამ გასულ კვირას განვითრებულმა მოვლენებმა ამ სისტემის გადახედვა მოითხოვა.

მელისა დალტონი, რომელიც ამერიკის თავდაცვის სამინისტროში საგარეო ურთიერთობების სპეციალისტად მუშაობს, აღნიშნავს: როდესაც საუბარია ამერიკის საელჩოს უსაფრთხოებაზე, ელჩი, როგორც მისიის ხელმძღვანელი, არის პიროვნება, რომელიც "საბოლოო გადაწყვეტილებას" იღებს. ეს გადაწყვეტილება მრჩეველთა ჯგუფის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზეა დაფუძნებული: "ის იღებს გადაწყვეტილებას მთლიანი ჯგუფის შესახებ, რაც გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რა ტიპის ძალების მობილიზებაა საჭირო თანამშრომლების დასაცავად."

დალტონის თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური უსაფრთხოების განყოფილების რეგიონული უსაფრთხოების ოფიცრები აყალიბებენ სპეციალურ უსაფრთხოების

პროგრამებს, რომლებიც ამერიკის მისიებს იცავს და როდესაც საქმე უსაფრთხოებას ეხება, ელჩისათვის უმთავრეს მრჩეველის ფუნქციას ასრულებს. საელჩოს სამხედრო ატაშე მასპინძელი ქვეყნის უსაფრთხოების დინამიკის შესახებ ინფორმაციას ელჩს აწვდის, ამავე დროს, დაზვერვის თანამდებობის პირები ქვეყანაში არსებულ სიტუაციას შეისწავლიან.

"იმ ქალაქებსა და რეგიონში სადაც უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ახლო ურთიერთობა მყარდება ადგილობრივ უსაფრთხოების ძალებთან. ჩვენ მათ მიწაზე ვიმყოფებით და, შესაბამისად, ისინი უკეთ იცნობენ საკუთარ ქვეყანას, ვიდრე ჩვენ," - ამბობს დალტონი, რომლის თქმითაც, ამერიკის საელჩოებსა და მასპინძელ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ორმხრივ შეთანხმებას ეფუძნება.

როდესაც კრიზისი იწყება, პირველი ნაბიჯი, რომელსაც საელჩო დგამს, არის შესაფერისი თანამშრომლების გადაუდებელი შეხვედრა: "ისინი განიხილავენ ყველაფერს, რაც იციან კრიზისის შესახებ, რათა განსაზღვრონ, საჭიროა თუ არა უსაფრთხოების კიდევ უფრო გამკაცრება მიმდინარე სიტუაციაში."

სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონული უსაფრთხოების ოფიცრები ხშირ შემთხვევაში კრიზისის დროს ამერიკელ სამხედროებს ეყრდნობიან. ერთიან სარდლობას, ისეთი როგორიც არის ამერიკის ცენტრალური სარდლობა, შეუძლია, დიპლომატიური ადგილები სამხედროებით უზრუნველყოს. მაგალითად, როგორც ეს გასულ კვირას მოხდა, როდესაც ანტიტერორიზმის უსაფრთხოების ჯგუფის საზღვაო ფლოტი ლიბიისკენ გადაადგილდა.

1998 წლის კენიაში ამერიკის საელჩოზე თავდასხმის გამოცდილებით, დალტონის აზრით, მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებიც უსაფრთხოების გაძლიერებას მოითხოვს. მისი თქმით, არაბული გაზაფხულის ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ამერიკა ამ რეგიონში მეტად "აღარ უნდა ენდოს მხოლოდ ჩვენს ურთიერთობას ქვეყნების რეჟიმებთან, რათა კარგად გააცნობიეროს, თუ რა ხდება მათ მიწაზე. განსაკუთრებით, მსოფლიოს ამ ნაწილში ამერიკა, მთავრობასთან ერთად, რაც უფრო მეტად ეცდება საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებთან ურთიერთობას, მით უკეთესად შეძლებს ქვეყანაში არსებული განწყობის გაგებას," - ხაზს უსვამს დალტონი.

და ბოლოს, ამერიკის ოფიციალური პირები ახლა იმ ჯგუფებს ხვდებიან, რომელთანაც შესაძლოა, საერთოდ არ გაევლოთ კონსულტაციები არაბულ გაზაფხულამდე. დალტონი დასძენს, რომ ამერიკას წინსვლისათვის სჭირდება, უფრო გააფართოოს და გააღრმაოს მის წყაროებთან კავშირი, რათა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები შეამციროს.

არაბული გაზაფხულის საფუძვლები

გასული წელიწად-ნახევარი ახლო აღმოსავლეთი ე.წ "არაბულმა გაზაფხულმა" მოიცვა. შედეგად ამ დროისათვის ოთხი ლიდერის გადაყენება მოხდა.

რამ გამოიწვია ეს პოლიტიკური ცვლილებები? მხოლოდ არაბული სამყაროთი შემოიფარგლება, თუ შესაძლოა სხვაგანაც გავრცელდეს? საიდუმლო არ არის, რომ მოსკოვსა და პეკინში ხელისუფლება ყურადღებით აკვირდება მიმდინარე მოვლენებს და ცდილობენ ყველანაირად თავიდან აიცილონ საკუთარ საზოგადოებებში წინა-რევოლუციური მდგომარეობის არსებობა.

არაერთი მიმომხილველი აღნიშნავს, რომ რევოლუციების მამოძრავებელ მნიშვნელოვან ძალად სოციალური მედია ტექნოლოგიები იქცა. თუმცა, ეს ყველაფერი ინსტრუმენტები უფროა და არა რევოლუციების მიზეზი. ზოგიერთი "ალ-ჯაზირას" როლზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს რევოლუციებს.

არაბულ სამყაროში პოლიტიკური მღელვარება ნამდვილად დიდი ხანია დუღს, რომელიც ზოგჯერ ამბოხებაშიც გადაზრდილა, თუმცა ისეთი ძვრები არ მოუტანია, რომლის მოწმეც ცოტა ხნის წინ გავხდით. რატომ მოხდა რომ მუამარ კადაფის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ლიბიაში წლების წინ მომხდარი სხვა აჯანყებებისაგან განსხვავებით ბენღაზის აჯანყება მკვეთრად განსხვავებული შედეგით დასრულდა?

ეგვიპტითა და ლიბიით რომ დავიწყოთ, აქ პოლიტიკურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით უკმაყოფილება უფრო და უფრო იზრდებოდა. ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის მცდელობას მისი ვაჟი გამალი პრეზიდენტად დაესვა - მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა მოჰყვა, მათ შორის სამხედროების მხრიდან.

რაც შეეხება ლიბიას - მუამარ კადაფის შვილებიდან ორს საიფ ალ-ისლამს და მუტასიმს ორივეს სურდათ მამის ჩანაცვლება. რეჟიმის რყევასთან ერთად ქვეყნის ელიტამაც დაშლა დაიწყო, რამაც 2011 წლის რევოლუციის წარმატებით დასრულებას დიდად შეუწყო ხელი.

რევოლუციების წარმატებით დასრულებას კორუფციის ზრდამაც შეუწყო ხელი. ჩვეულებრიც პირობებში გარკვეული დოზით კორუფციას შესაძლოა ყურადება არ მიექცეს, თუმცა ეკონომიკურმა კრიზისმა ეს ქვეყნები არ დაინდო, განსაკუთრებით ეგვიპტე და ტუნისი. ხელისუფლებასთან დაახლობული პირები საშუალო კლასის წარმომადგენლებს შესაძლებლობებს უღობავდნენ. როგორც ლეილა ბოუზიზი (ტუნისელი ხილით მოვაჭრე მოჰამედ ბოუზიზის და, რომლის თავგანწირვამაც არაბულ გაზაფხულს დაუდო სათავე) აღნიშნავდა:"მათ ვისაც კავშირები და ფული არ ჰქონდა ქრთამისათვის, ფაქტობრივად სიცოცხლის საშუალება მოესპოთ." საზოგადოების ყველა ფენა, განსაკუთრებით კი ღარიბები ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საკვებზე ფასების მატებამ.

ეკონომიკურმა კრიზისმა ახალგაზრდების განწყობაზეც იმოქმედა. განათლებული ახალგაზროდაბა წინსვლის გზას ვერ ხედავდა. იმ ახალგაზრდებმა, რომელთაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ უბრალოდ გადაწყვიტეს შეწინააღდეგებოდნენ ძველ რეჟიმს. უსაფრთხოების ძალების მხრიდან ძალადობის პირველი ინციდენტის შემდეგ მათ სახლში წასვლა არ გადაიფიქრეს.

ამ მხრივ საინტერესოა რუსეთში "Pussy Riot" საქმე. მათთვის ორ წლიანი პატიმრობის მისჯა მთავარი გზავნილია ახალგაზრდა ბიზნეს კლასისთვის. ბოლო თვეების განმავლობაში ახალგაზრდა რუსი მეწარმეები ოპოზიციურ მოძრაობებს უახლოვდებიან. "პანკ ჯგუფისთვის" გამოტანილი ვერდიქტი კი არის იმის ნიშანი, რომ მათ "უნდა" გადახედონ ამ მხარდაჭერას: სურთ თუ არა მათ შეწირონ საკუთარი შესაძლებლობები პუტინის მთავრობას წინააღმდეგ აქტიურ ქმედებას? თუმცა, ეს გათვლა უფრო ეკონომიკის ზრდის შემთხვევაში იმოქმედებს. ნებისმიერი ეკონომიკური დაღმასვლა პოლიტიკური მღელვარებას ზრდას შეუწყობს ხელს.

სიმყიფის ნიშნები ყველაზე დემოკრატიულ სისტემებშიც შეინიშნება. ინდოეთში მასობრივმა უშუქობამ, სამხრეთ აფრიკაში მუშათა მღელვარებამ და ევროპის ქვეყნებში მკაცრი ეკონომიის ზომებით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ, საპროტესტო მოძრაობების შექმნა რეალური გახადა. დაწყებული რუსეთიდან აშშ-ს ჩათვლით ამ ყველაფრის საერთო ფაქტორი ხალხის მიერ მთავრობისადმი ნდობის დაკარგვაა. ხალხს იმედი აღარ აქვს რომ მოქმედი პოლიტიკოსები პრობლემის გადაწყვეტას შეძლებენ. აქედან გამომდინარე, "არაბული გაზაფხული" შესაძლოა ფართო გლობალური ტენდენციის - "რყევის დღეების" ნაწილად იქცეს. ეს იქნება ორივე - დემოკრატიულ და ავტოკრატიულ რეჟიმებთან დაპირისპირება მსოფლიოს მასშტაბით.

ნიკოლას გვოზდევი - საგარეო პოლიტიკის კომენტატორი "World Politics Review"-ს მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ

მსოფლიოს არქიტექტურის ძვირადღირებული ძეგლები

ხათუნა გაბიევი

ბრიტანელი სპეციალისტები მსოფლიოს მასშტაბით განსაკუთრებული არქიტექტურისა და სტილის მქონე პოპულარული სანახაობებით დაინტერესდნენ და შესაბამისი რეიტინგიც შეადგინეს.

როგორც ბრიტანული "ტელეგრაფი" წერს, ევროპის არქიტექტურული მონუმენტებიდან განსაკუთრებული პოპულარობით პარიზის სიმბოლო სარგებლობს, სწორედ ამიტომ კვლევის შედეგებსაც ეიფელის კოშკი ჩაუდგა სათავეში. იტალიის მონცასა და ბრიანცას სავაჭრო-სამრეწველო პალატის სპეციალისტებმა ეიფელი 435 მილიარდ ევროდ შეაფასეს. 1 050 ფუტის სიმაღლის "რკინის ქალბატონის" პოპულარობა მისი აღმართვიდან (1889 წელი) დღემდე იმდენად მაღალია, რომ ტურისტებისგან მიღებული შემოსავალი საფრანგეთის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის მეხუთედს შეადგენს. სტატისტიკურად, ეიფელს ყოველწლიურად 8 მილიონი ტურისტი სტუმრობს. გამოქვეყნებულმა შედეგებმა ფრანგული მედიის აღფრთოვანება გამოიწვია, რასაც სიამაყით გამოეხმაურნენ "ფიგარო" და "ლიბერასიონი".

ფაქტი საინტერესოა თუნდაც იმის გამო, რომ პარიზის სიმბოლოს ღირებულებამ იტალიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსაც კი ბევრად გადააჭარბა. ამან კი, ცხადია, იტალიური მედია დიდად არ გაახარა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა თავად იტალიელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს, ეროვნული სიამაყის შებღალვას წყენით გამოეხმაურა იტალიური მედია. როგორც ირკვევა, რომის კოლიზეუმს ექსპერტები მხოლოდ 91 მილიარდ ევროდ აფასებენ.

კვლევის პირველ ხუთეულში ასევე ღირსეული ადგილი დაიკავეს ლონდონის თაუერმა და სთოუნჰენჯმა. ტაუერის ღირებულება 70 მილიარდ 500 მილიონ ევროდ შეფასდა, დრუიდებისთვის საკრალური თავყრილობის ადგილის ფასმა კი 10 მილიარდ 500 მილიონი ევრო შეადგინა.

ევროპის ღირსშესანიშნაობებიდან სპეციალისტებმა ასევე არ დაივიწყეს ისეთი ძეგლები, როგორებიცაა მილანის დუომოს კათედრალი (82 მილიარდი ევრო) და მადრიდში პრადოს მუზეუმი, რომელიც 59 მილიარდ ევროდ შეაფასეს.

თუმცა, რადგან ჯერი ტურისტებისთვის საინტერესო და ადგილობრივებისთვის საამაყო ღირსშესანიშნაობებზე მიდგა, ევროპელმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, ჯეროვანი პატივი ოკეანის გაღმა მდებარე არქიტექტურული ნიმუშებისთვისაც მიეგოთ და ამერიკის შეერთებული შტატების ნომერ პირველი შენობა - თეთრი სახლი შეაფასეს. მსოფლიო ჰეგემონის პირველი პირის რეზიდენცია 81 მილიარდ ევროდ შეფასდა. რაც შეეხება ჰეგემონობაზე პრეტენზიის მქონე კიდევ ერთი სახელმწიფოს ღირსშანიშნაობას, ისტორიული მნიშვნელობისა და თუნდაც საკმაოდ შემაშფოთებელი დატვირთვის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ სიაში კრემლი ვერ მოხვდა. შესანიშნავი შვიდეული კი შემდეგნაირად გამოიყურება: 1. ეიფელის კოშკი; 2. კოლიზეუმი; 3. კათედრალი საგრადა ფამილია; 4. დუომოს კათედრალი; 5. ლონდონის ტაუერი; 6. მუზეუმი პრადო; 7. სთოუნჰენჯი.

გამორჩეული არქიტექტურული სტილის ძეგლების შეფასებისას სპეციალისტებმა 10 სხვადასხვა პარამეტრი გამოიყენეს, შეფასების კრიტერიუმებს შორის კი - ე.წ. ტურისტული ინდექსი, რომელიც ღირსშესანიშნაობის ეკონომიკურ ღირებულებას, მონუმენტის პოპულარობას, მნახველთა ნაკადსა და ეკონომიკური მიმზიდველობის ინდექსს ეფუძნება. სპეციალისტებმა ასევე გაითვალისწინეს ღირსშესანიშნაობის დამსახურებით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა და პროდუქციის საექსპორტო ღირებულება.

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოლიდი ფინანსური

290 90 90
* 90 90
BR.GE

დედაქალაქში „ბანკ კონსტანტას" ორი ახალი სერვის ცენტრი გაიხსნა

ბანკმა კონსტანტამ" დედაქალაქში ორი ახალი სერვის ცენტრი გახსნა. ერთი მოსკოვის პროსპექტზე N1-ში, მეორე კი ჭავჭავაძის N8-ში. სერვის-ცენტრების გახსნა, დედაქალაქში ბანკი კონსტანტას" მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პროდუქტებზე მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა.

სერვის-ცენტრები?"ბანკი კონსტანტას" მიერ შექმნილი ახალი კონცეფციის მიხედვითაა გაკეთებული. კონცეფცია შემუშავებულია მომხმარებლისთვის მყუდრო და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად და ითვალისწინებს განახლებულ დიზაინსა და მომსახურების მაქსიმალურ კომფორტიზაციას. განახლებული დიზაინის გარდა, კონცეფცია ფილიალებსა და სერვისცენტრებში საქართველოში მოღვაწე უხუცესი ლოტბარების პორტრეტებისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი საქმიანობის ამსახველი ფოტოების განთავსებას გულისხმობს. ფოტოები ემსახურება საქართველოს კუთხეებს შორის ინფორმაციის გაცვლის იდეასა და ბანკ კონსტანტას" ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზანს. **სერვისცენტრი ახალი კონცეფციის მიხედვით მოეწყო. ჩვენ ნელნელა უარი ვთქვით ფილიალებსა და სერვისცენტრებში სარეკლამო ინფორმაციის განთავზებაზე, რადგანაც გვინდა, რომ მომხმარებლებს მეგობრული და მყუდრო ატმოსფერო შევუქმნათ. სწორედ ამიტომ გამოვფინეთ ფოტოები, სადაც ასახულია უხუცესი ქართველი ლოტბარების პორტრეტები და საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი საქმიანობები,"** - გვითხრა ბანკი კონსტანტას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ქეთო გიორგობიანმა.

"ბანკიკონსტანტას" სერვის-ცენტრები უახლოესი ფილიალის დაქვემდებარებაში მყოფი მომსახურების პუნქტებია და თბილისის მაცხოვრებელთათვის საბანკო მომსახურების მარტივად მიღების მიზანს ემსახურება. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებით სარგებლობა უკვე უბნიდან გაუსვლელა დშეეძლება. **მთელი ქვეყნის მასშტაბით ფილიალების და სერვის ცენტრების ქსელის გაფართოვება, ჩვენს პროდუქტებზე მოსახლეობის მხრიდან მზარდი მოთხოვნით არის განპირობებული. მომხმარებელთან უფრო ახლოს მისვლა ბანკი კონსტანტას" სტრატეგიაა. ჩვენ გვსურს, რომ კლიენტებს ყველა საბანკო მომსახურება ადგილზე მივაწოდოთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მათი და შესაბამისად ქვეყნის ბიზნესის განვითარებაში,"** - გვითხრა ბანკი კონსტანტას" ვაჟა-ფშაველას ფილიალის მმართველმა, ირაკლი ბაღოშვილმა. აღსანიშნავია, რომ ვაკის სერვისცენტრი სწორედ ამ ფილიალის დაქვემდებარებაშია.

დღეისათვის დედაქალაქში ბანკ კონსტანტას" 8 ფილიალი და 2 სერვისცენტრი მოქმედებს.

ფილიალების ქსელის განვითარება შეუქცევადი პროცესია. მიმდინარე წლის ბოლომდე, საქართველოსმასშტაბით, კიდევ რამდენიმე ახალი ფილიალის გახსნა და არსებულთა განახლება გვაქვს დაგეგმილი. აღნიშნული პროცესი მხოლოდ ფილიალების რაოდენობის ზრდას არ გულისხმობს: შემუშავდა კონცეპტუალურად სრულიად ახალი - იდენტური ნიშნის მატარებელი ფილიალების სტრუქტურა, სადაც ჩვენი კლიენტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი კომფორტისა და უმაღლესი ხარისხის ფინანსური მომსახურების მისაღებად. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ფილიალი თბილისის მოსახლეობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საკუთარი ბიზნესის განვითარებაში," - განაცხადა?ბანკიკონსტანტას" გენერალურმა დირექტორმა, ლევან ლებანიძემ.

გასულ კვირას ბანკმა კონსტანტამ" ორი ახალი სერვის ცენტრი მარტყოფსა (გარდაბნის რაიონი) და კაბალში (კახეთი) გახსნა. დღეისათვის ბანკს საქართველოს მასშტაბით ჯამში 42 ფილიალი და სერვის ცენტრი აქვს. კიდევ ორი სერვისცენტრი ორ კვირაში გაიხსნება. წლის ბოლოსთვის კი მომხმარებლებს საბანკო მომსახურების მიღება ქვეყნის მასშტაბით ბანკი კონსტანტას" 50-მდე ფილიალსა და სერვისცენტრში შეეძლებათ.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი
საქართველოს კონსტიტუციის 73-ე და 74-ე მუხლებს განმარტებებით იხილავთ გაზეთ (24 საათის) შემდეგ ნომრებში.

II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადა ეროვნულ და შედარებით კონსტიტუციურ სამართალში.

5 – 9 სექტემბერს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტ პალასში" ჩატარდა კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მიერ ორგანიზებული II საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო
სკოლა თემაზე - ეროვნული და შედარებითი კონსტიტუციური სამართლის დილემები.
საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის მონაწილენი.
საზაფხულო სკოლაში სტუდენტები მოავლინა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა.
საზაფხულო სკოლაში ლექციები წაიკითხეს - კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორ-ემერიტუსმა ავთანდილ დემეტრაშვილმა, აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ პეტრე ზამბახიძემ და ღონისძიებაში მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელებმა.

ავთანდილ დემეტრაშვილი -კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორ-ემერიტუსი.
თემა - „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის დილემები"
პეტრე ზამბახიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
თემა - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოში"

საქართველო

ბადრი ნაკაშიძე - მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „თანამედროვე რუსეთის ტერიტორიული მოწყობის ზოგიერთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტი"

რუსეთი

პროფესორი ელშად ნასიროვი - ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „საარჩევნო კანონმდებლობის ფორმირება და განვითარება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ"

აზერბაიჯანი

ჯეკ ვაჰან ბურნაზიანი - ამერიკული უნივერსიტეტი სომხეთში.
თემა - „თანასწორობის შეფასება: კონსტიტუციონალიზმი, საზოგადოებრივი თანხმობა და პირადი უფლებები"

სომხეთი

პროფესორი გიორგი ბლიზნაშკი - სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „ხელისუფლების რეგულირების საკითხები ბულგარეთში"

ბულგარეთი

მარინა მიხროვსკა - ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „უკრაინაში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა რეფორმირების
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირება"

უკრაინა

პროფესორი გიორგი ავორნიკი - კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატი:
მეცნიერულ-შედარებითი ანალიზი"

მოლდავეთი

ყოველი კონკრეტული თემის გარშემო გაიმართა დებატები.

საზაფხულო სკოლის მონაწილეებმა სასწავლო პროგრამისგან თავისუფალ დროს დაათვალიერეს აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობები, ბათუმის დელფინარიუმი,,
გაისეირნეს გემით და ეწვივნენ
იუსტიციის სახლს, სადაც გადაეცათ საქართველოს მოქალაქის სიმბოლური
პასპორტები.

ქ.ბათუმი, სოფელ ალეთის ა.მეფეთაშვილის ქ.N26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

სატელევიზიო კარის თამაში

პირველი გვერდიდან

"ემით" დაჯილდოების ცერემონიალი 23 სექტემბერს ტრადიციულად ლოს ანჯელესშია დაგეგმილი. თუ ტელესერიალების მიმართ ჩვენი მაყურებლის ინტერესსაც გავითვალიწინებთ, ალბათ ზედმეტი არ უნდა იყოს იმის შეხსენება, თუ კონკრეტულად ვინ და ვისი პროდუქტი შეეცდება წლის საუკეთესოს სტატუსის მოპოვებას (ქვემოთ მხოლოდ ძირითად ნომინაციებს შეგახსენებთ, რადგან "ემის" ნომინაციების სიმრავლე და ზოგიერთის აბსურდულობა მუსიკალური "გრემისას" არ ჩამოუვარდება).

როგორც გითხარით, დრამატული სერიალის ნომინაციის ერთ-ერთი მთავარი "მოთამაშე" თვით მარტინ სკორსეზესა და მარკ უოლბერგის პროდუსერობით შექმნილი "მიწისქვეშა იმპერიაა". თუმცა აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ხარისხისა და პოპულარობის მიუხედავად მას გამარჯვების შანსი პრაქტიკულად არ აქვს, რადგან "დაუტონის სააბატოს", "მძიმე დანაშაულისა" და "შეშლილების" გარდა კონკურენტებად "სამეფო კარის თამაში" და "სამშობლო" ჰყავს. ეს უკანასკნელი შაშანდელი "ოქროს გლობუსის" ტრიუმფატორია, რომელმაც ერთგვარი სასწაულიც კი მოახდინა, როდესაც პირველივე სეზონით შეძლო ზემოთ ჩამოთვლილი კონკურენტების დამარცხება. იმსახურებდა კიდეც - "სამშობლომ" ღირსეულად გაიმარჯვა, რითაც "ტრონების" მხურვალე ფანები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

სერიოზული ჯახია მოსალოდნელი კომედიური სერიალის ნომინაციაშიც, სადაც "დიდი აფეთქების თეორიისა" და "თანამედროვე ოჯახის" დაპირისპირება, სავარაუდოდ, მართლაც მასშტაბურ აფეთქებას გამოიწვევს. აქვე არც "გლობუსის" მრავალგზის გამარჯვებული "30 დარტყმა" უნდა დაგვავიწყდეს, რომლის მსახიობების, ტინა ფეისა და ალეკ ბოლდუინის სახელები კვლავაც იკითხება საუკეთესო კომედიური მსახიობის ნომინაციაში და აქვეა ბოლდუინის მთავარი "მტერი", სრულიად არანორმალური ჯიმ პარსონსიც "დიდი აფეთქების თეორიიდან". ასევე ნომინირებულები არიან "სამშობლოს" მსახიობი, შარშანდელი "ოქროს გლობუსის" გამარჯვებული კლერ დეინსი, ელიზაბეტ მოსი და კრისტინა ჰენდრიქსი "შეშლილებიდან", ასევე "გლობუსის" მფლობელი სტივ ბუშემი "იმპერიისთვის" და, ცხადია, პიტერ დინკლეიჯი - ტირიონ ლანისტერის როლის შემსრულებელი ეპიკურ "სამეფო კარის თამაშში". თუ დრამაში მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის ნომინაციას გადავხედავთ, რეალური კონკურენტი დინკლეიჯს კვლავაც არ ჰყავს, თუმცა "შეშლილების" უკანასკნელი სეზონის ყველაზე დრამატული პერსონაჟის, ლეინ პრაისის როლის შემრულებელი ჯარედ ჰარისი შესაძლოა სწორედ იმ ჩასაფრებულ ვეფხვად იქცეს, რომელიც სცენაზე ასასვლელად გამზადებული "ნახევარკაცას" ჯილდოს აართმევს.

სავარაუდოდ დააფასებენ დემიან ლუისსაც "სამშობლოში" შესრულებული როლისთვის, თუმცა ამ მსახიობს უკვე ნახსენები სტივ ბუშემის ან მაიკლ სი ჰოლის ("დექსტერი") სახით სერიოზული კონკურენტები ეყოლება. არ არის გამორიცხული, ჯილდო "დაუტონის სააბატოს" მსახიობ ჰიუ ბონვილსაც მიაკუთვნონ, რადგან ეს უკანასკნელი არაჩვეულებრივიად ახერხებს მუდამ კეთილშობილი და ზოგჯერ გამაღიზიანებლად გულისხმიერი პერსონაჟის შექმნას.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი "ემის" ტრიუმფატორი კომედიურ სერიალებში "თანამედროვე ოჯახი" გახდა, ხოლო დრამის ნომინაციის ფავორიტად მართლაც შესანიშნავი "შეშლილები" დაასახელეს, რომელმაც "სამეფო კარის თამაშის", "მიწისქვეშა იმპერიისა" და "დექსტერის" დამარცხება შეძლო.

სალმან რაშდის თავის საფასური გაიზარდა

ირანულმა ორგანიზაციამ "15 ივნისის ფონდმა" გაზარდა დაწესებული ჯილდო ინგლისელი მწერლის სალმან რაშდის მოკვლაზე. როგორც სააგენტო Associated Press -ი იუწყება, ამის შესახებ გუშინ რამდენიმე ირანული გაზეთი წერდა. სალმან რაშდის თავის საფასური 500 ათასი დოლარით გაიზარდა და ახლა უკვე 3,3 მილიონს შეადგენს. ამ ფულს ირანული ორგანიზაცია ნებისმიერ ადამიანს ჰპირდება, ვინც კი აიათოლა ჰომეინს აღთქმულის შესრულებაში დაეხმარება. როგორც ვიცით, 1989 წელს ჰომეინმა რაშდის ღვთისგმობაში დასდო ბრალი წიგნისათვის "სატანური ლექსები" და მისი მოკვლა "საღვთო საქმედ" გამოაცხადა. წიგნის შეტანა აიკრძალა ინდოეთში, პაკისტანში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სინგაპურსა და სხვა მუსლიმურ ქვეყნებში.

როგორც Associated Press-ი იუწყება, მაშინ რაშდიზე დაწესებული ჯილდო მილიონი დოლარი იყო, მაგრამ ეს თანხა თანდათან გაიზარდა. ეს უკანასკნელი დანამატი გამოიწვია ანტიისლამური ფილმის "მუსლიმანის უმანკოების" გარშემო ატეხილმა სკანდალმა. არადა საფრთხე ნამდვილად სერიოზულია. რამდენიმე თვის წინ სალმან რაშდიმ თავი შეიკავა ინდოეთის ლიტერატურულ ფესტივალზე ჩასვლისგან, სადაც იგი სიტყვით უნდა გამოსულიყო. მის ჩასვლასთან დაკავშირებით ინდოეთის მუსლიმი მოსახლეობა საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებდა.

რაშდის ინდოეთში ჩასვლა გააპროტესტეს დარ ულ-ულიუმ დეობანდის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი უნივერსიტეტი და ისლამისტური ცენტრია ინდოეთში. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით, ინდოეთში დაბადებულს იქ ჩასვლის უფლება ყოველთვის აქვს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მთავრობას მოსტხოვეს, რაშდი ქვეყანაში არ შემოეშვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუსლიმები აქციებს გამართავდნენ. სწორედ ეს მოთხოვნა გახდა მიზეზი, რომ რაშდი ფესტივალის მონაწილეთა სიიდან ამოშალეს. რაშდი იძულებული გახდა, ინდოეთის მთავრობისათვის ყური დაეგდო და თავი საფრთხეში არ ჩაეგდო.

სალმან რაშდი ბომბეიში დაიბადა 1947 წელს, ხოლო 14 წლიდან იგი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. მის წიგნებს სხვადასხვა პრესტიჟული პრემია აქვთ მიღებული, მათ შორის რომანმა "შუაღამის შვილები" 1981 წელს ბუუკერის პრემია დაიმსახურა, შემდეგ კი ორჯერ დასახელდა ამ პრემიის არსებობის ისტორიაში საუკეთესო წიგნად.

24 საათი

რომანის წერა მკითხველთა თვალწინ

ბელა ჩეკურიშვილი

ბრიტანელი მწერალმა სილვია ჰარტმანმა გადაწყვიტა, დაწეროს რომანი ფენტეზის ჟანრში და ამისათვის Google Docs-ის ტექსტური რედაქტორი გამოიყენოს. რომანის სათაურია "დრაკონთა მბრძანებლები" (The Dragon Lords), რომლის პირველი რვა თავის შავი ჩანაწერები მწერალს უკვე გაკეთებული აქვს.

სილვია ჰარტმანის ეს წამოწყება იმითაა საინტერესო, რომ ინტერნეტ-მომხმარებლებს შეუძლიათ, Google Docs-ის დახმარებით, პირდაპირ ადევნონ თვალი მის შექმნას. როგორც ჰარტმანმა განაცხადა, მკითხველებს შეუძლიათ კომენტარების სახით ტექსტის ქვეშ დაწერონ შენიშვნები და გამოთქვან შეხედულებები.

გაზეთ "გარდიანის" მიმოხილველი, რომელმაც ჰარტმანის რომანის შესავალი ნაწილი უკვე წაიკითხა, მას სრულ სისულელეს უწოდებს, მაგრამ იმედს გამოთქვამს, რომ მწერალი ამ შავ მასალას გზადაგზა დაამუშავებს და საინტერესო სახეს მისცემს. რომანი იწყება ფრაზით: "მისის დელჰანი ყოველ დილით ბილიკზე შიშველ მამაკაცს აღმოაჩენდა ხოლმე"...

სილვია ჰარტმანის კალამს ეკუთვნის ეზოთერიკული ხასიათის ნაშრომები და ფენტეზის ჟანრის რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის ტრილოგია "სოკოების წვიმა", "ვამპირების ბუნიობა" და "ოქროს ცხენი". მათი ნახვა დაინტერესებულ მკითხველს ინტერნეტშიც შეუძლია.

Google Docs -ის ტექსტური რედაქტორი შედის Google Apps-ის ვებ-დანართის პაკეტში, რაც გულისხმობს, რომ ერთსა და იმავე დოკუმენტზე რამდენიმე მომხმარებელს ერთდროულად შეუძლია მუშაობა. რასაკვირველია, ავტორს აქვს უფლება, გარეშე პირებს ტექსტში ჩარევა აუკრძალოს, განხილვისა და შენიშვნებისათვის კი "კომენტარების" ფუნქცია გამოიყენოს.

ამგვარი ონლაინ ტექსტები ბოლო პერიოდში სახალისო წამოწყება გახდა ინტერნეტსივრცეში. შემდეგ უბრალო გართობის ფორმატს გასცდა და მწერლებისათვის შემოსავლის წყაროდ იქცა. მართალია, სილვია ჰარტმანის წამოწყებისგან განსხვავებით, მკითხველი ყოველ პწკარს თვალს ვერ ადევნებს, მაგრამ შესაბამის ვებგვერდზე დარეგისტრირებისა და გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, მას შეუძლია იმ ნაწილის წაკითხვა, რასაც მწერალი უკვე დამუშავებული სახით გამოაქვეყნებს. როცა ტექსტი მკითხველთა ინტერესს იწვევს, მწერლებიც სწრაფი ტემპით მუშაობენ და შემოსავალიც იზრდება. ამგვარი ონლაინ-პროდუქცია იმითაა საინტერესო, რომ მკითხველი იქვე გამოტქვამს საკუთარ აზრს და მწერალიც, შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს. მსგავსი ტექსტების შექმნის პრეცედენტი საქართველოშიც შედგა: ილიას უნივერსიტეტის ინიციატივით, რამდენიმე თვის წინ დაიწყო პროექტი "LIBRI VIVI - ცოცხალი წიგნები", რომლის მიზანი ერთი მხივ მკითხველის დაინტერესება, მეორე მხრივ კი მწერალთა ხელშეწყობაა. შეიქმნა სპეციალური პორტალი www.librivivi.ge, სადაც შესაძლებელია, მწერლისა და მკითხველის დიალოგი. როგორც მაშინ ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ გვითხრა, ამგვარი პროექტები ხელს მკითხველის წიგნთან დაახლოებას უწყობს ხელს, ამავე დროს, ამ ტესტების ფასი გაცილებით იაფია, ვიდრე ნაბეჭდი გამოცემის, ან თუნდაც ელექტრონული წიგნის.

ევროპული გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდები აქტიურად სტუმრობენ ამგვარ საიტებს, ჰყავთ საყვარელი ავტორები, რომელთაც ელოდებიან და ბუნებრივია, გარდა იმისა, რომ მათთან დიალოგი ეამაყებათ, ამ დიალოგში ბევრ რამეს სწავლობენ კიდეც. რაც შეეხება "ცოცხლი ტექსტების" ხარისხს, თუკი დავფიქრდებით, მათზე ხელაღებით ეჭვის შეტანაც მცდარი იქნება, რადგან უამრავი დანეჭდი წიგნი გაქრა დროსთან ერთად, უამრავი კი ვერც თანამედროვეთა დაინტერესებას ახერხებს. ხოლო თუ იმ ტენდენციასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მწერლები ისედაც ათავსებენ ახლად შექმნილ ტექსტებს ინტერნეტსაიტებზე და მკითველთა კომენტარებზეც მგრძნობიარედ რეაგირებენ.

LIBRI VIVI-ის პროექტში თავიდანვე ჩაერთვნენ ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, აკა მორჩილაძე და ნინო ტეფნაძე. ვნახოთ, რამდენად ეფექტურად იმუშავებს ქართულ რეალობაში "ცოცხალი წიგნების" პროექტი, როგორც მწერლების მხიდან, ისე მკითხველთა. ეს ის შემთხვევაა, როცა მკითხველი და ავტორი გზის თავსა და ბოლოში კი არ დგანან, ამ გზას ერთად მიუყვებიან.

ჩემპიონთა "ლიგამუსი"

პირველი გვერდიდან

"საბადელთან" 12:11 და ბელარუსის "ვიტებსკთან" 16:6. მაგარი იყო. ჩომახიძე ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი და კლასია.

"ლიგამუსი" ესპანელებთან ცოტა მძიმედ შედის თამაშში და მეორე პერიოდში "საბადელი" 7:2 იგებს. ლამაზად, სწრაფად იგებს. გრძელი პასები, ძირითადად, ფლანგებიდან გასროლებით გადის გოლები და ესპანელები ესპანურად იგებენ. პერიოდის დახურვამდე 3 წუთი რჩება და ამ დროში "ლიგამუსმა" აკრიფა. გადის ხუთი გოლი. ხუთი შეტევიდან. ასიანი შედეგი და პირველი ტაიმის შემდეგ 7:7 გვაქვს. ცუდი თამაშით, უყურადღებო დაცვით, შეცდომებით მაინც არ ვაგებთ და შემდეგ ორ პერიოდში უნდა ავკრიფოთ. ესპანელების სამ კაცს 2-2 ფოლი აქვს.

"საბადელი" ცოტა დაიღალა და მესამე პერიოდის სტარტზე გალაქტიონ ლაითაძემ და ტატო ნიკოლეიშვილმა თითო შეაგდეს. "ლიგამუსმა" 11:9 წაიყვანა. უკეთესი თამაშით. "საბადელის" კიდევ ორ კაცს აქვს ორი ფოლი და ბოლო პერიოდი, იდეაში, მარტივად უნდა დავხუროთ. "ლიგამუსი" აგრესიას აკონტროლებს და "საბადელი" ყველაფერს უფრო ნელა, უემოციოდ აკეთებს. "საბადელი" წინა დონეზე დარჩა.

ესპანელების რუსტერში ერთმა კაცმა სერიოზულად შეასრულა. გონსალო ოსკარ ეხენიკე საქმეს აკეთებდა და დაცვაშიც სოლიდურად იდგა. არგენტინელი, რომელიც ესპანეთში პოპულარულია და ეხენიკემ "ლიგამუსთან" 6 გოლი აკრიფა. შორიდან, ცენტრის პოზიციიდან, ფლანგიდან, ორი კაცის მხრიდან დისკომფორტის დროს. ბიჭი (22 წლის) ყველაფერს მაღალ დონეზე და მშვიდად ასწრებდა. ეხენიკესთან ერთად, პრობლემები შექმნა, "საბადელის" ავატარმა, სენიორ ივან მარტინ კარაბანტესმა. კლუბის ერთ-ერთი ლიდერი ფორმაში იყო. შარშან, ესპანეთის თასის ფინალში "საბადელმა" 11:10 მოუგო "ბარსელონას". მძიმე, რთულ თამაშში. სამი პერიოდის შემდეგ "საბადელი" 6:7 აგებს და ბოლო 8 წუთში გუნდმა მოუმატა. იმ ფინალში ეხენიკემ ერთი გოლი გაიტანა. კარაბანტესს საერთოდ არ უთამაშია. "ლიგამუსთან" სხვა გუნდი იყო აუზში და "საბადელის" ძირითადი რუსტერი რეალურად, სხვა დონეა. ბევრად მაღალი, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე ეტაპზე უკვე რთული იქნება.

"ლიგამუსი" იგებს 11:10 და რჩება 2 წუთი. კიდევ ერთი გოლის შემდეგ ესპანელებს ცოტა დრო რჩებათ და დავიდ რომერომ ბოლო წამზე საბოლოო ანგარიში დასვა - 12:11 იგებს რეზო ჩომახიძის გუნდი და გადის საკვალიფიკაციოდან ფინალურ ეტაპზე. უბრალოდ, ბოლო თამაშში უნდა გავარკვიოთ, რომელ ჯგუფში მივდივართ. ორი ვარიანტია. თუ ვიგებთ, ჩვენთვის უკეთეს ბილეთს ვიღებთ. წაგებით პერსპექტივას ვირთულებთ. "ლიგამუსი" ბოლო გასეირნებაში ბელორუსის "ვიტებსკთან" დაილაპარაკებს. ჩომახიძეს "ვიტებსკზე" უკეთესი გუნდი ჰყავს და ოთხ მეოთხედში "ლიგამუსმა" მეტი უნდა მოასწროს, მეტი გოლი გაიტანოს, ნაკლები შეცდომა დაუშვას. "ვიტებსკთან" "საბადელმა" ვერ ითამაშა, დაისვენა, მწვრთნელებმა აგრესია და მუღამი "ლიგამუსისთვის" დაიტოვეს და ეხენიკეს ახლობლებმა ჩვენთან ცოტა ვერ გაძლეს. "ლიგამუსმა" გადაჯოკრა და ესპანელებთან გარჩევა ტურნირის ყველაზე საინტერესო, მთქმელი თამაში იყო. ქართული კლუბი ჩემპიონთა ლიგის ძირითადის ვიზას იღებს.

ბელარუსებიც ნორმალური გუნდით ჩამოდიან. უგებენ ესპანელებს და ესპანელები იქ ცოტა არასერიოზულად თამაშობენ. ნუ, ასე ჩანდა. გუნდი, რომელიც თითქმის უგებს "ლიგამუსს", ვერ უნდა აგებდეს "ვიტებსკთან". გუნდი, რომელიც ესპანეთის თასის ფინალში "ბარსელონას" ღლის, მეორე შემადგენლობითაც აჭრის ბელარუსის ნაკრებს. "ვიტებსკი" არ არის ნაკრები და უგებს "საბადელს". ცოტა ალოგიკური თემაა.

"ლიგამუსმა" ბოლო თამაში 16:6 დაამთავრა. ჩემპიონთა ლიგაზე მწვანე ბარათი მოგვცეს.

მაგარი საინტერესო გუნდი ჩამოიყვანა პოლონურმა "არკონიამ". გუნდი მწვრთნელის, ექიმის გარეშე. ბიჭები აუზში ჩადიოდნენ, თამაშობდნენ, აგებდნენ და არ ნერვიულობდნენ. რაღაც მომენტებში ნორმალურად აკეთებდნენ ყველაფერს და ცოტა მერე, იღლებოდნენ. "არკონიამ" ცუდად ითამაშა. რეალურად, ალბათ, უკეთ შეეძლო.

ბოლო დღეს, "საბადელის" კარში ის ტიპი იდგა, ჩვენ რომ 6 გოლი დაგვიტოვა. ეხენიკე კარშიც ნორმალურად მოძრაობდა, შეცდომები არ დაუშვია და "საბადელმა" "არკონიას" ყური აუწია. კლასით, ელეგანტურად აუწია. "საბადელი" ჯგუფში მესამეზე დაჯდა და ლენ ტროფიზე ითამაშებს. იქ, ძირითადის ხალხით ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

"ლიგამუსი" ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე A ჯგუფში ჩაჯდა.

ვხვდებით ჰოლანდიურ "შურმანს", საბერძნეთის გრანდს "ვულიაგმენის", რუსულ "სპარტაკს", რომელიც ვოლგოგრადიდან არის. იქვე დაგვისვეს უნგრული ტირანოზავრი "იეგერი" და "ჰანოვერი", რომელიც ჰანოვერიდან მოდის. სოლიდური ჯგუფი. თითო გუნდს დაველაპარაკებით ორჯერ, შენი და სხვისი აუზის პრინციპით. თბილისში რამდენიმე თამაში გვაქვს მოსაგები და შეიძლება შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ჯგუფიდან მერვედფინალში ოთხი გუნდი გადის. "იეგერი" და ბერძნები იფავორიტებენ და იდეაში, თითქმის გასულები არიან. დანარჩენებთან თამაში მოსულა. და მოგებაც შეიძლება.

"ლიგამუსი" წინა ტურნირზე, ლენ ტროფიზე ლეგიონერებით და ჩომახიძესთან ერთად იყო. იქ მოსაგები მოვიგეთ და შემდეგი დონეც ავითვისეთ. მერე უკეთესი გუნდები იყო და ქართული კლუბი ფლეი ოფში ვერ გავიდა. ჩვენთან ერთად, თბილისში ოლიმპიური ჩემპიონების "ჰონვედი" და იტალიელი კრიმინალების "პოზილიპო" იყვნენ. "ჰონვედმა" დაგლიჯა, მუჰამედ ალივით დაყარა ყველა იტალიელების გარდა და "პოზილიპომ" ჯგუფი მოიგო. გადახსნა "ჰონვედიც" და იტალიელების ვარსკვლავი, ვალენტინო გალო ჩვენი ტურნირის პირველი კაცი იყო. მაშინ სხვა დონეზე ვიყავით. ჩვენთან ერთად "მარსელიც" იყო და საფრანგეთიდან სოლიდური ხალხი ჩამოვიდა. ჩემპიონთა ლიგაზე უფრო სუსტი ჯგუფიდან და სუსტი სპარინგებით გავედით. ჩომახიძე მაშინ თამაშობდა და დღეს, რეზო მთავარი მწვრთნელია. ასისტენტი ნოდარ ჩხარტიშვილია.

"საბადელთან", "ვიტებსკთან" და "არკონიასთან" "ლიგამუსი" იყო - ზურაბ ჭუმბურიძე (მეკარე), ბექა კაპანაძე (მეკარე), ბექა ქენქაძე, ლევან ჩიქვინიძე, ალექსანდრე რუსიშვილი, გივი სულაძე, ტატო ნიკოლეიშვილი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა (კაპიტანი), მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, ალექსანდრე ურუშაძე და ლიდერი, გალაქტიონ ლაითაძე. გალამ სერიოზულად ითამაშა. ფორმაშია, არ იღლებოდა. ლაითაძემ მოუმატა და ჩემპიონთა ლიგის ძირითად ეტაპზე უნდა შეუბეროს.

"ლიგამუსმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდი მოიგო. უნდა მოეგო და მოიგო. "ლიგამუსი" დანარჩენებზე აწყობილი, გუნდური გუნდი იყო. "ლიგამუსის" მთავარი მწვრთნელი რეზო ჩომახიძეა და გუნდის ლიდერი რეზოს ძმაკაცი, გალაქტიონ ლაითაძეა. რომელიც ჯერ სვლაზეა და რესპექტაბელურად აკეთებს ყველაფერს. ჩომახიძე ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი და კლასია. ლაითაძე ელეგანტურად აკეთებს საქმეს. ზურა რურუამ შეცდომების გარეშე, რაფინირებულად შეუბერა და პირველ თამაშში, "არკონიასთან" გეგელაშვილმა ხუთი გოლი აკრიფა. გეგელაშვილიც ფორმაში იყო. ტატო ნიკოლეიშვილმა რაღაც ეპიზოდებში ბევრი გააკეთა და მიხეილ ბაღათურია ლიდერობდა. მომენტებში ლიდერობდა და ბაღათურია აუცილებელი ელემენტია.

ჩემპიონთა ლიგა წყალბურთშიც ჩემპიონთა ლიგაა. ტურნირით ცოტა მეტი პერსონები რომ დაინტერესებულიყვნენ, ცუდი არ იქნებოდა. ბიჭებმა ყურადღება დაიმსახურეს. მართლა დაიმსახურეს. ლტოლვით, მონდომებით და შედეგით.

როგორც უკვე ჩამოვყარეთ, "ლიგამუსი" ჩემპიონთა ლიგის ძირითად ამბებში ჩაჯდა. საინტერესო გუნდი საინტერესო ტურნირში ათ თამაშში გაიტესტება. საქართველო ჩემპიონთა ლიგის ფორმატში ნორმალური გუნდით შევიდა და იდეაში, რაღაც დონემდე უნდა გაქაჩოს.

ვერ ვქაჩავთ გულშემატკივრობის ამბავში და ეს ჩვეულებრივი თემაა. თითქმის ვერასდროს ვერ ვქაჩავთ. წყალბურთში უკვე გავქაჩეთ. "ლიგამუსი" რეალურად კარგი გუნდია. და უკეთეს გულშემატკივრებს იმსახურებს. ეს თემა გამოსასწორებელია.

ტატო ნიკოლეიშვილმა ტურნირი სტაბილურად დახურა

"საბადელს" დისკომფორტი ალექსანდრე ურუშაძემაც შეუქმნა

დარასელიამ დებიუტი "დინამოს" დამარცხებით აღნიშნა

გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი მეხუთე ტურის მატჩები, რომელთა შორის ცენტრალური გორში "თენგიზ ბურჯანაძის" სტადიონზე შედგა. ევროტურნირებ მოვლილმა "დილამ" საკუთარ მინდორზე თბილისის "დინამოს" უმასპინძლა და ანგარიშით 2:0 იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ეს "დილას" პირველი გამარჯვებაა და "დინამოს" პირველი მარცხი. შეგახსენებთ, რომ თამაშის წინ გორულმა გუნდმა მწვრთნელი შეიცვალა. "დილას" მთავარი მწვრნელის თანამდებობაზე ისრაელიდან საქართველოში დაბრუნებული გიორგი დარასელია დაინიშნა და მან საკუთარი დებიუტი უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვებით აღნიშნა. მოკლედ, დარასელიას სადებიუტო გამარჯვება "დინამოს" მთავარი მწვრთნელის დუშან უჰრინ უმცროსის პირველ ქართულ მარცხს დაემთხვა.

თამაში საოცრად დაძაბული გამოდგა, "დინამოს", რომელიც აქამდე დაუმარცხებლად ასპარეზობდა შემტევი სტილის თამაში აშკარად არ გამოუვიდა და ეს პირველ რიგში გორელთა დაცვისა და მეკარის დამსახურებაა, თუმცა პირველ ტაიმში დინამოელებმა სტანდარტიდან გოლის გატანა მაინც შესძლეს, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

მატჩი მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ყველაფერი შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე გადაწყდა. ტრავმირებული ლორიას ნაცვლად "დინამოს" კარში მდგარმა სეფიაშვილმა მთელი მატჩი კარგად ჩაატარა, თუმცა პირველივე მისი შეცდომა გორელთა გოლით დასრულდა. "დინამოს" კიპერმა კახელიშვილის დარტყმული ისე მოიგერია, რომ ბურთი პირდაპირ მოდებაძეს მიუვიდა, რომელმაც ახლო მანძილიდან ბურთი კარს არ ააცდინა.

მატჩის დასრულებამდე ოთხ წუთში კი დინამოელებმა საკუთარ საჯარიმოში გურული მოცელეს და პენალტი გოლად თავად დაზარალებულმა აქცია.

დუშან უჰრინი: "გორში რომ მოვდიოდით, ვიცოდით, რომ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ მოგვიწევდა თამაში. პირველ ნახევარში გოლი გავიტანეთ, რომელიც მსაჯის გადაწყვეტილებით გაუქმდა - არ ვიცი იყო, თუ არა თამაშგარე მდგომარეობა, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მეორე ტაიმში დინამოელებს კონცენტრაციის ნაკლებობა დაეტყოთ, რის გამოსწორებაზეც სამომავლოდ აუცილებლად ვიმუშავებთ. "დილასთან" მომდევნო წრეშიც მოგვიწევს თამაში და აუცილებლად გამარჯვების მოპოვებას ვეცდებით.

გიორგი დარასელია: "დღეს "დილამ" მიმდინარე სეზონში გორის განახლებულ სტადიონზე პირველი საშინაო თამაში გამართა. დღევანდელ თამაშზე გულშემატკივარიც მოვიდა და ყველაფერი იყო იმისთვის, რომ ჩვენ გამარჯვებისთვის მიგვეღწია. იღბალი და სათამაშო უპირატესობაც ჩვენს მხარეს იყო და საბოლოოდ გავიმარჯვეთ".

რაც შეეხება ტურის სხვა მატჩებს, ქუთაისის "ტორპედომ" "მერანი" ანგარიშით 4:0 გაანადგურა, გორში "დინამოს" წაფორხილებით ისარგებლა და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ტურის დანარჩენი მატჩები კი ასე დასრულდა:

კოლხეთი - ზესტაფონი.....0:2
ვიტ ჯორჯია - ზუგდიდი 0:0
ჩიხურა - სიონი 2:1
დინამო (ბათუმი) - მეტალურგი....0:2

1.ტორპედო	5	4	0	1	12 - 3	12
2.დინამო (თბ)	5	4	0	1	12 - 4	12
3.ჩიხურა	5	4	0	1	8 - 4	12
4.მეტალურგი	5	3	0	2	4 - 5	9
5.ზესტაფონი	5	2	1	2	5 - 3	7
6.სიონი	5	1	3	1	7 - 7	6
7.ზუგდიდი	5	1	3	1	3 - 2	6
8.მერანი	5	2	0	3	3 - 8	6
9.ვიტ ჯორჯია	5	1	2	2	3 - 6	5
10.დილა	5	1	1	3	6 - 7	4
11.დინამო (ბთ)	5	0	2	3	2 - 9	2
12.კოლხეთი	5	0	2	3	1 - 10	2

ბომბარდირები:

4 - ჯაბა დვალი ("დინამო"), რევაზ ჯიქია ("სიონი")

3 - ალვარო ("დინამო" თბილისი), დავით ოდიკაძე ("ჩიხურა", 1 პენ), დიმიტრი ტატანაშვილი ("მეტალურგი")

ქართველი იტალიელები კარგად იწყებენ

"კანტუს" თავკაცი ანდრეა ტრინკიერი "მანუს" დარიგებებს აძლევს

სულ ცოტაც და სტარტს აიღებს იტალიური საკალათბურთო სერია A. მოგეხსენებათ იტალიის ჩემპიონტისადმი ჩვენი ინტერესი საკმაოდ დიდია. საუკეთესო აპენინურ გუნდში ამ სეზონში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ სანიკიძე გადავიდა, ხოლო ეროვნული ნაკრების ვიცე კაპიტანი მანუჩარ მარკოიშვილი "კანტუში" თამაშობს. ამჯერად სწორედ ამ ორი გუნდის წინასასეზონო მზადებაზე გესაუბრებით,

სანიკიძის "სიენამ" უკვე ორი მატჩის გამართვა მოასწრო. იტალიურმა გრანდმა ჯერ ლუბლიანის "ოლიმპია" დაამარცხა, შემდეგ კი ევროლიგის მოქმედ გამარჯვებულ ბერძნულ "ოლიმპიაკოსთან" დამარცხდა.

ვიქტორ სანიკიძის "სიენური" დებიუტი კალიარის ტურნირზე შედგა და ქართველმა ფორვარდმა მოედანი 7 ქულით დატოვა. სიენელების მეტოქე ლიუბლიანის "ოლიმპია" იყო, რომელიც სანიკიძის გუნდმა 70:51 გაანადგურა.

პირველი ტაიმის შემდეგ "მონტეპასკი" სლოვენიის საუკეთესო კლუბს მხოლოდ 4 ქულით უგებდა, დარჩენილ დროში კი იტალიური გრანდის უპირატესობა უფრო აშკარა გახდა. სიენელთა რიგებში 10-ქულიან ზღვარს სამი კალათბურთელი გადასცდა. მოსმა 16 ქულა მიითვალა, ბრაუნმა - 14, კაშუნმა - 12.

კალიარის საერთაშორისო ტურნირზე მეორე მატჩში "მონტეპასკი" "ოლიმპიაკოსს" დაუპირისპირდა და ანგარიშით 67:71 დამარცხდა. ამჯერად "ვიკას" მონაგარი უფრო სერიოზული იყო. სანიკიძემ ევროპის საუკეთესო გუნდს 12 ქულა ჩაუგდო და თავის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. აღსანიშნავია, რომ ვიკა ორივე გუნდში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გამოდგა. "სიენაში" მას მხოლოდ ამერიკელმა გამთამაშებელმა ბობი ბრაუნმა აჯობა, რომელმაც 14 ქულა დააგროვა, ხოლო "ოლიმპიაკოსის" რიგებიდან ყველაზე შედეგიანი ასევე 14 ქულით მარტინას გეჩევიჩუსი იყო.

რაც შეეხება მარკოიშვილის "კანტუს" ამ გუნდმა "ჩიტა დი კაორლეს" ტურნირი მოიგო და ცნობილი იტალიელი კალათბურთელის, ენცო ლეფებრეს თასს დაეუფლა.

ორდღიან ტურნირში 4 გუნდი მონაწილეობდა - მილანის "ემპორიო არმანი", "ვირტუს ბოლონია", "ნიუ იორკერ ფანტომსი" და "კანტუ". მარკოიშვილის გუნდმა ნახევარფინალში ნიუ იორკელები 89:79 დაამარცხა. ქართველმა ფორვარდმა 3-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 1 საჯარიმოც მიამატა და საბოლოოდ 7 ქულა დააგროვა. მატჩის ბომბარდირი ნიკოლას მაცარინო გახდა 20 ქულით.

ფინალურ მატჩში კანტუელები ვიქტორ სანიკიძის ყოფილ გუნდ "ვირტუსს" შეხვდნენ, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში - 73:71 დაამარცხეს. ქართველმა უკანახაზელმა ამჯერად 12 ქულა მოინაგრა. მარკოიშვილმა 6-დან 3 ორქულიანი და 7-დან 2 სამიანი ჩააგდო. კანტუელთაგან საუკეთესო ჯერი სმიტმა მანუჩარზე 3-ით მეტი, 15 ქულა მიითვალა საკუთარ ანგარიშზე.

სერია A 2 ოქტომბერს იწყება, რომლის პირველ ტურშიც კანტუელები "ვენეციას" დაუპირისპირდებიან.

დელ პიერო სიდნეიში ჩავიდა

ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი ალექს დელ პიერო ოჯახთან ერთად ავსტრალიას ეწვია, სადაც უახლოესი ორი წლის განმავლობაში საფეხბურთო კლუბ "სიდნეიში" ითამაშებს. სიდნეის აეროპორტში იტალიის ნაკრებისა და "იუვენტუსის" ვარსკვლავს 500-დე ქომაგი დახვდა. 37 წლის ფეხბურთელმა ჯერ ავტოგრაფები დაარიგა, შემდეგ კი განაცხადა: "აქ კარიერის დასასრულებლად არ ჩამოვსულვარ, აქ ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. ვინ არის დელ პიერო დღეს? ადამიანი, რომელმაც ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. კარდინალური ცვლილებები არასდროს მიყვარდა, თუმცა გადაწყვეტილება მივიღე და საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. განვიცდი თუ არა ნოსტალგიას? დიახ, მე ხომ 19 წლის განმავლობაში ვიყავი "იუვენტუსის" ნაწილი. ფანები დღესაც კი მღერიან ჩემს სახელს და მე წარსულს ვიხსენებ. დიახ ნოსტალგია არსებობს, თუმცა ახლა უფრო მეტად ახალ გამოწვევებზე ვფიქრობ".

მოურინიომ გუნდი არ მყავსო

ესპანეთის ჩემპიონატში უკვე მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა და "რეალმა" მეორე თამაშის წაგება მოახერხა. ამჯერად, "სამეფო კლუბი" "სევილიასთან" გასვლით შეხვედრაში ანგარიშით 0:1 დამარცხდა. დღეისთვის არსებული ვითარებით "რეალი" ესპანეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ "ბარსელონას" უკვე 8 ქულით ჩამორჩება და მიუხედავად იმისა, რომ სეზონი მხოლოდ ახლა იწყება, მთავარი კონკურენტისთვის რვაქულიანი ჰანდიკაპის მიცემა დიდი ფუფუნებაა. მორიგი მარცხით განაწყენებულმა მოურინიომ კი ღიად განაცხადა, რომ მას გუნდი არ ჰყავს. აშკარაა, რომ "სამეფო კლუბში" რაღაც პრობლემებია და ამაზე ჯერჯერობით ბოლომდე არ საუბრობენ.

"სევილიამ" გამარჯვება დაიმსახურა, ჩვენ კი მარცხი. სამწუხაროდ, ამ მომენტისთვის, გუნდი არ მყავს. შესვენებაზე ორი ცვლილება გავაკეთე, მაგრამ შვიდი ფეხბურთელის გამოცვლა მსურდა. სევილიელები ყველა ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდნენ და ისე ირჯებოდნენ, თითქოს მათ ცხოვრებაში უკანასკნელი მატჩი იყო. ასე, ჩემი ფეხბურთელები მხოლოდ "ბარსელონას" წინააღმდეგ თამაშობენ. სულ ესაა. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, იგი არაფრით განსხვავდებოდა, არც "ხეტაფესთან" გამართული მატჩისგან და არც "გრანადასთან". უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა. მიმაჩნია, რომ "რეალში" გუნდური სულისკვეთება მოიკოჭლებს"", - ციტირებს მოურინიოს სიტყვებს AS-ი.

"ბარსელონა" ვალდებულია "სპარტაკი" დაამარცხოს

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში "ბარსელონამ" ანგარიშით 4:1 "ხეტაფე" გაანადგურა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს კარგი განწყობით ხვდება. შეგახსენებთ, "ბარსა" მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგას 19 სექტემბერს მოსკოვის "სპარტაკთან" მატჩით იწყებს. "ხეტაფეს" დამარცხების შემდეგ კატალონიელთა ლიდერმა ჩავიმ განაცხადა: "ხეტაფესთან" გასვლაზე თამაში იოლი არასდროს არაა, ამიტომაც ამ შედეგით უნდა ვიამაყოთ. ახლა უკვე "სპარტაკთან" მატჩზე გვმართებს სრული კონცენტრირება. მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები არ არსებობს, ჩვენ უბრალოდ ვალდებულები ვართ ჩემპიონთა ლიგა გამარჯვებით დავიწყოთ".

სკოლარის გული ინგლისისკენ მიუწევს

"პალმეირასიდან" ახლახან გაგდებული ბრაზილიელი სპეციალისტი ლუიშ ფელიპე სკოლარი აცხადებს, რომ კარიერის გაგრძელება ინგლისში სურს. მოგეხსენებათ, ბრაზილიელ სპეციალისტს ლონდონის "ჩელსიში" 7 თვე აქვს ნამუშევარი.

"დაბრუნების შანსი რომ მქონდეს, არც კი დავფიქრდებოდი. ინგლისის პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესოა. დარწმუნებული ვარ, ნისლიან ალბიონზე რომ დავბრუნდე, ყველაფერი გამომივა. ვფიქრობ, ბრაზილიურ სტილს ინგლისურს კარგად შეეუწყობ," - ამბობს მწვრთნელი, რომელმაც 2002 წელს ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაგებინა.

ჩავეს-უმცროსი მამის თვალწინ დამარცხდა

გიგა გურასაშვილი

მარტინესმა ნოკდაუნი იგემა და ჩემპიონობა იზეიმა

სახელოვანი მამის ლეგენდარული ჯეი სის (ასე მოიხსენიებდნენ ხულიო სეზარ ჩავესს), ღირსეულ მემკვიდრედ მიჩნეულმა ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსმა ლას ვეგასის Thomas & Mack Center-ის რინგზე, მამის და 19,186 მოსეირის თვალწინ, რომელთა უმრავლესობაც ჩავესს სკანდირებდა, საშუალო წონაში კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო ქამარი არგენტინელ სერხიო მარტინესთან დაკარგა. მარტინესი მექსიკელზე სრული 12 რაუნდი დომინირებდა, თუ არ ჩავთვლით ბოლო რაუნდს, როდესაც ნოკდაუნი იგემა.

საბჭოსვე ბრილიანტის საჩემპიონო ქამრის მფლობელმა 37 წლის არგენტინელმა ამავე ორგანიზაციის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოქმედ ჩემპიონ ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსთან ჩხუბში მსაჯთა დათვლებით დაისაკუთრა.

მექსიკელთან ორთაბრძოლაში არგენტინელმა მისი ასაკის გათვალისწინებით (სპორტული საზომებით) შესაშური ფიზიკური მომზადება გამოავლინა. დაღლა მხოლოდ ორთაბრძოლის ბოლოსკენ დაეტყო, რამაც ლეგენდარული მამის შვილი გაათამამა მასზე მოპოვებინა უპირატესობა, მაგრამ ამგვარ მცდელობას მაინც რაღაც დააკლო.

...ჩხუბის დასაწყისში ჩავეს-უმცროსი მარტინესზე უპირატესობის მოპოვებას შეეცადა, მაგრამ არგენტინელი შეუვალი აღმოჩნდა. მომავალმა ჩემპიონმა ფუნქციონალური მომზადების წყალობით 11 წლით უმცროს მექსიკელს აჯობა - სწრაფი შეტევების სერიამ მექსიკელს გასაქანი არ მისცა.

მოვლენათა ასეთი განვითარება მოქმედ ჩემპიონს კარგს არაფერს უქადდა. აშკარა იყო მსაჯები გამარჯვებას მარტინეს მიაკუთვნებდნენ. ამიტომაც ერთადერთი გამოსავალი ინიციატივის ხელში აღება იყო, რასაც მეექვსე რაუნდიდან მოყოლებული შეეცადა კიდეც და თავსა და კორპუსში ძლიერი დარტყმებით გარკვეულწილად ჩხუბში გარდატეხაც შეიტანა, მაგრამ ამგვარი აღმაფრენა დროებითი აღმოჩნდა. რაუნდის ბოლოს არცთუ ცუდი კომბინაციის წყალობით არგენტინელის გრძელმა მკლავებმა მექსიკელს იმედები გაუქარწყლა. მომდევნო რაუნდში კი უკვე რინგის სრულ ბატონ-პატრონად გარდაიქმნა.

ჩავეს-უმცროსი რაუნდის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე კარგი შეტევის განხორციელებას შეეცადა, მაგრამ მეტოქისგან ისეთი ხურდა მიიღო, რომ განზრახვისგან ხელის აღება მოუხდა. არასაკმარისი აღმოჩნდა მერვე რაუნდში გარდატეხის შეტანის მცდელობაც.

მეცხრე რაუნდიც მარტინესის კონტროლით წარიმართა, თუმცა, გახეთქილი წარბით უწევდა ჩხუბი. მართალია, არგენტინელი საწყისი რაუნდებში წამოწყებულ ტემპს ვეღარ უძლებდა, მაგრამ ამის მიუხედავადაც მეტოქეზე უპირატესობას ინარჩუნებდა - მექსიკელს შეტევების მომზადების საშუალებას არ აძლევდა. პრინციპში, ჩავეს-უმცროსიც აღარ მიმართავდა პრესინგს. მხოლოდ ბოლოსწინა რაუნდის შუაწელიდან შეძლო მარტინესისთვის ძლიერი დარტყმების მიყენება, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ჩავესს ერთადერთ იმედად ნოკაუტი რჩებოდა...

დასკვნითი რაუნდის ბოლო წუთმა ლამის ყველაფერი თავდაყირა დააყენა - მექსიკელმა მარტინესის დაცვა გაარღვია და მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდო. და მაინც, ტიტულის მოცილე არგენტინელმა წამოდგომა და ორთაბრძოლის გაგრძელება შეძლო. ჩავეს-უმცროსი გათამამებული შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ფინალური გონგის ხმამდე მარტინესის (50 მოგება, აქედან 28 ნოკაუტით, 2 წაგება და ორიც ფრე) მეორედ წაქცევა ვეღარ მოახერხა. წარმატებული მეთორმეტე რაუნდი კი საკმარისი არ აღმოჩნდა სახელოვანი მამის შვილისთვის ტიტულის შესანარჩუნებლად. სამივე მსაჯის დათვლით 110-117, 109-118, 109-118 ჩავეს-უმცროსმა (46 მოგება, აქედან 32 ნოკაუტით, 1 წაგება და ერთიც ფრე) საბჭოს ქამარი დაკარგა.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge